# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

პარასკევი, 15 აპრილი. 2022 წ. №49 (9387) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

## ირაკლი ღარიბაშვილი: ქართველებისთვის ენა ის ღირებულებაა, რომელსაც ყოველთვის უკომპრომისოდ იცავდა!

**ენა ერის იდენტობის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია. საქართველოს თვითმყოფადობას, ისტორიულ მეხსიერებას, პატრიოტულ სულისკვეთებას და ჩვენს ეროვნულ თვითშეგნებას სწორედ ქართული ენა აერთიანებს. ჩვენი ერისათვის ენა ის ღირებულებაა, რომელსაც ყოველთვის უკომპრომისოდ იცავდა, რის სიმბოლოდაც იქცა 1978 წლის 14 აპრილი — ავტორიტარული რეჟიმის პირობებში ხალხის მიერ მოპოვებული სახელმწიფო ენის დღე. ჩვენმა გამარჯვებამ არა მხოლოდ ქართულს, არამედ სხვა რესპუბლიკების ენებსაც შეუნარჩუნა სახელმწიფო სტატუსი,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებს.

**„წელს სახელმწიფო ენის დღეს განსხვავებულად აღვნიშნავთ. საქართველოს მთავრობის დამტკიცებული სახელმწიფო ენის ათწლიანი პროგრამით ჩამოყალიბდა სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის საჭირო ახალი მიზნები და ის პირობები, რომლებიც ამ ამოცანის მისაღწევად იქმნება. ათწლიანი სტრატეგია ხელს შეუწყობს როგორც ქართული და აფხაზური ენების კონსტიტუციით განსაზღვრული ფუნქციების უკეთ შესრულებას, ისე ქართველური ენების დაცვას, კვლევასა და ენობრივი ტექნოლოგიების განვითარებას.**

**თითოეული ჩვენგანის ვალია განსაკუთრებული პატივისცემით მოვეპყრათ ენას და შევინარჩუნოთ, განვავითაროთ და გადავცეთ ჩვენს მომავალ თაობებს ეს ჭეშმარიტი საგანძური“,** — ნათქვამია განცხადებაში.



### ლადო ასათიანი:
### ქართული ენა

საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ,
სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენავ!
მოიმღერა დღემდის უმველესმა ტომმა
შლეგი ჩანჩქერების ნაპრალებზე ხლტომა,
მყინვარების ღვთიურ ბრწყინვალებით დნობა,
ჯაგნარებში ირმის ჯოგის ნავარდობა,
გაფანტული ფარის მთაზე დაჯანღება
და ქართული ფარის ფარზე დაჯახება!
უმველესმა ტომმა დღემდის მოიმღერა,
მწიფე პურის ყანა ქარში როგორ ღელავს,
სარკინეთში გრდემლზე როგორ სცემენ უროს
და ვარსკვლავი ზღვებზე როგორ მოგზაურობს,
ან მთვარიან ღამით ციხე-კოშკის ჩრდილში
რა ტკბილია ფარულ სიყვარულის შიში,
როცა ღამისმთევლებს ლხინი გაუმართავთ
და სიზმრები როცა თვლემენ სასთუმალთან...
საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ,
ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ!

## საქართველომ დედაენის დღე აღნიშნა!

**1978 წლის 14 აპრილს, საქართველოს მოსახლეობა ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის გაუქმების წინააღმდეგ გამოვიდა. ამ დღეს, რუსთაველის გამზირზე თითქმის 100 ათასი ადამიანი შეიკრიბა და პირველად საბჭოთა კავშირის ისტორიაში კომუნისტურმა მთავრობამ უკან დაიხია.**

**მშვიდობიანი საპროტესტო აქციის მონაწილეეები საბჭოთა ხელისუფლებისგან დაჟინებით ითხოვდნენ, უკან წაეღო თავისი განზრახვა ქართული ენისთვის სახელმწიფო სტატუსის ჩამორთმევასთან დაკავშირებით. საბჭოთა მთავრობა იძულებული გახდა საპროტესტო აქციის მონაწილეთა მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა.**

### შალვა პაპუაშვილი:

1978 წლის 14 აპრილს ქართველმა ხალხმა მშობლიურ ენასთან ერთად დაიცვა საკუთარი წარსული, აწმყო და მომავალი, ათასწლოვანი ისტორია და ეროვნული თვითმყოფადობა

საქართველოს პარლამენტის სახელით, ყველას, ვისთვისაც ქართული მშობლიური ენაა, ყველას, ვინც ეს ენა შეისწავლა და ყველას, ვინც უბრალოდ მოხიბლულია ქართული ენის კეთილხმოვანებით და ათასწლოვანი ისტორიით ვულოცავ დედაენის დღეს!

### კელი დეგნანი:

„1978 წლის 14 აპრილს, ქართველი ხალხი საკუთარი ენის, კულტურისა და ღირებულებების დასაცავად საბჭოთა ოკუპანტებს წინ აღუდგა. როდესაც საბჭოთა ხელისუფლება ქართული ენის ოფიციალური სტატუსის გაუქმებით დაიმუქრა, ათობით ათასი ქართველი საპროტესტო სვლით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ქალაქის ცენტრში, პარკისკენ გაემართა. ეს პარკი დღეს „დედა ენის“ სახელს ატარებს, როგორც სიმბოლო სიმამაცისა, ქართული ენის უძლეველობისა და ქართველი ხალხის ურყევი დამოუკიდებლობისა.

ხომ არ დალგა ჟამი, მოიცალონ და ამ თემაზე იმსჯელონ მათ, სახელმწიფო ენის ბედზე ზრუნვა უმთავრესად ვისაც ევალება —
საქართველოს მთავრობამ...
საქართველოს პარლამენტმა...
სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა...

## გიორგი გოგოლაშვილი: ჩვენი ბედისწერა განათლებაზეა დამოკიდებული!

5



## არ გვინდა ომი — არასოდეს, არ გვინდა ომი!!!

ფარნა რაინა

7



## „შულავერის კომიტეტის“ შეკრება „ტირანიის დასამხობად“

იხ. 4 გვ.

**„ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ ოპოზიციური პარტიების შეხვედრას „შულავერის კომიტეტის შეკრება“ უწოდა.** მისი თქმით, ტრენინგის სახელწოდებიდან გამომდინარე, ნათელია რას ეხებოდა ღონისძიება.

**„ღონისძიების სათაური იყო „როგორ დავასრულოთ ტირანია“ შესაბამისად ნათელია, რას ეხებოდა ეს შეკრება. ეხებოდა ხელისუფლების გადატრიალებას, რაც ვერ მოხერხდა სააკაშვილის ჩამოსვლის შემდეგ და მოგვიანებითაც. ახლა ამაზე ისინი მსჯელობენ. ეს იყო ამ ღონისძიების შინაარსი. რატომ იყვნენ პოლიტიკური პარტიები, ე.წ. ენჯეოები და ე.წ. ტელევიზიები ერთად წარმოდგენილი ამ ღონისძიებაზე, ესეც ძალიან საინტერესოა. ამ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი, თუმცა ჩვენ პასუხები დღემდე არ მოგვისმენია. ამ ღონისძიების მონაწილეები გაურბიან ყველა შეკითხვას, რომელიც მის შინაარსს უკავშირდება. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით რა იყო ეს შინაარსი. მეტი ინფორმაციის მიწოდებაც შეგვიძლია საზოგადოებისთვის. ეს იყო რეალურად „შულავერის კომიტეტის შეკრება“, რომლის მიზანიც ლეგიტიმური ხელისუფლების გადატრიალებაა. აქედან გამომდინარე, მათი მხრიდან თავის მართლება საფუძველს მოკლებულია“,** — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

## იქ, მყინვარწვერის მხარეში...



იხ. 6 გვ.

## ირაკლი კობახიძე: უკრაინაში ვიზიტთან დაკავშირებით იდეალურად ლაგდება ყველაფერი, „ომის პარტია" უნდა იყოს ბორტს მიღმა და ისინი დარჩნენ ბორტს მიღმა

პარტია „ქართული ოცნების" თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობის" მხრიდან იყო უკრაინაში საერთო ვიზიტის ჩაშლის მცდელობა.



**„რაც შეეხება ვიზიტს, მგონია, რომ იდეალურად ლაგდება ყველაფერი. სხვათა შორის, გუშინ იყო მათი მხრიდან საერთო ვიზიტის ჩაშლის მცდელობა, ამ ფორმით ვიზიტის განხორციელების ჩაშლის მცდელობა. იცით, რაც იყო ჩვენი შეთავაზება — ყველა პოლიტიკური ჯგუფიდან თითო წარმომადგენელი. ამის შემდეგ გამჟღავნდა მათი რეალური სურვილი და პრინციპში, იდეალურად დალაგდა დელეგაცია. რა თქმა უნდა, იდეალურია, როდესაც ერთი — მრავალპარტიულია ეს ვიზიტი, შესაბამისად, მრავალპარტიული ფორმით იქნება გამოხატული სოლიდარობა უკრაინელი ხალხის მიმართ, ამავე დროს, ასევე ძალიან კარგია, რომ „ნაცმოძრაობის" წარმომადგენელი არ იქნება ამ ვიზიტში. ეს არის ძალიან ლოგიკური, ნიშანდობლივი და სიმბოლურიც. „ნაციონალური მოძრაობა", რომელიც არის „ომის პარტია", არ უნდა იყოს „ქართულ ოცნებასთან", პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად ამ ვიზიტზე წარმოდგენილი. ეს არის აბსოლუტურად ლოგიკური",** — განაცხადა კობახიძემ.

რაც შეეხება კითხვას, „ნაციონალური მოძრაობის" არგუმენტი არის, რომ „ქართულ ოცნებას" სამარცხვინო პოზიცია აქვს უკრაინასთან მიმართებაში", — კობახიძის განმარტებით, ყველაფრის ლუსტრაცია მოხდა უკრაინაში ვიზიტით, სადაც „ქართულ ოცნებასთან" ერთად წარმოდგენილი იქნება ყველა პარტია, გარდა „ნაციონალური მოძრაობისა".

### „ნაციონალური მოძრაობის" ინტერესია, საქართველო რამენაირად ჩართონ სამხედრო კონფლიქტში

**„ნაცმოძრაობა" დარჩა მარტო, ყველა პოლიტიკური ჯგუფი მიდის უკრაინაში, ყველა ერთად, „ქართულ ოცნებასთან", შალვა პაპუაშვილთან ერთად, რომელიც არის ჩვენი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი.** გამოდის რა, რომ ერთადერთი პოლიტიკური პარტია საქართველოში, რომელიც ამ ფეიკს ავრცელებს, არის „ნაციონალური მოძრაობა". შესაბამისად, მოხდა ყველაფრის ლუსტრაცია, „ომის პარტია", რა თქმა უნდა, უნდა იყოს ბორტს მიღმა და ისინი დარჩნენ ბორტს მიღმა, ეს არის ძალიან სიმბოლური, ნიშანდობლივი და ძალიან კარგი. პოლიტიკურ ჯგუფში იგულისხმებოდა ფართო გაგებით პოლიტიკური ჯგუფი. ყველა პოლიტიკური პარტია, რომელიც არის პარლამენტში წარმოდგენილი, იქნება ასევე წარმოდგენილი დელეგაციაში. ნუ, „ნაცმოძრაობის" გარდა, რაც გასაგებია.

**ეს არის ერთი — პოპულიზმი და ამასთან ერთად მათი საკვანძო ინტერესი. მათი საკვანძო ინტერესი არის ის, რომ საქართველო უნდა გახდეს მეორე ფრონტი და ამასთან წინააღმდეგობაშია მათი წამოსვლა დელეგაციასთან ერთად. მათ უნდათ, გააგრძელონ ის რიტორიკა და ქმედებები, რომლის მიზანია საქართველოს ჩართვა სამხედრო კონფლიქტში. აქედან გამომდინარე, მათ ინტერესებში აღარ შედიოდა ამ ვიზიტის ფარგლებში უკრაინაში წასვლა. შესაბამისად, ერთი — ეს არის პოპულიზმი და მეორე | მათი ინტერესი, საქართველო რამენაირად ჩართონ სამხედრო კონფლიქტში",** — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

## კელი დეგნანი: როდესაც საზოგადოება რუსეთის სასტიკი ომის წინააღმდეგ უკრაინის გვერდით დგას, ვიხსენებთ ქართველი ხალხის გმირობას საკუთარი ენის შესანარჩუნებლად

**როდესაც გლობალური საზოგადოება რუსეთის სასტიკი ომის წინააღმდეგ უკრაინის გვერდით დგას, ჩვენ ვიხსენებთ ქართველი ხალხის გმირულ საქციელს საკუთარი ენის შესანარჩუნებლად, ვაგრძელებთ ქართველი ხალხის გვერდით დგომას რუსეთის რევანშიზმის წინააღმდეგ და თქვენი მომავლისა და პარტნიორების თავისუფლად არჩევის მხარდასაჭერად,** — ამის შესახებ აღნიშნულია საქართველოში აშშ-ის ელჩის, კელი დეგნანის განცხადებაში, რომელსაც დედაენის დღესთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში ავრცელებს.

**„1978 წლის 14 აპრილს, ქართველი ხალხი საკუთარი ენის, კულტურისა და ღირებულებების დასაცავად საბჭოთა ოკუპანტებს წინ აღუდგა. როდესაც საბჭოთა ხელისუფლება ქართული ენის ოფიციალური სტატუსის გაუქმებით დაიმუქრა, ათობით ათასი ქართველი საპროტესტო სვლით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ქალაქის ცენტრში, პარკისკენ გაემართა. ეს პარკი დღეს „დედა ენის" სახელს ატარებს, როგორც სიმბოლო სიმამაცისა, ქართული ენის უძლეველობისა და ქართველი ხალხის ურყევი დამოუკიდებლობისა.**

**1978 წლის დემონსტრაცია საბჭოთა კავშირის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი საპროტესტო აქცია იყო. ამას მალევე მოჰყვა აქციები სომხეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში. 1991 წელს ამ უწყვეტმა იმპულსმა საბჭოთა მმართველობის ქვეშ მყოფ ბევრ ქვეყანას თავისუფლება მოუტანა.**

**30 წლის წინ, ამერიკელი ხალხი დადგა ყველას გვერდით, ვინც მოსკოვის წინააღმდეგ იბრძოდა დამოუკიდებლობის, უნიკალური კულტურისა და ენის დასაცავად. დღეს, ისე როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია, რომ პატივი მივაგოთ გმირებს, რომლებსაც ეყოთ გამბედაობა, შეწინააღმდეგებოდნენ აგრესიას და თავგანწირვით ებრძოლათ საკუთარი კულტურისა და ღირებულებების დასაცავად. ჩვენ კვლავ ვხედავთ მოსკოვის მცდელობებს, ძირი გამოუთხაროს საკუთარი მეზობლების სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. მაშინ, როდესაც გლობალური საზოგადოება რუსეთის სასტიკი ომის წინააღმდეგ უკრაინის გვერდით დგას, ჩვენ ვიხსენებთ ქართველი ხალხის გმირულ საქციელს საკუთარი ენის თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. ჩვენ ვაგრძელებთ ქართველი ხალხის გვერდით დგომას რუსეთის რევანშიზმის წინააღმდეგ და თქვენი მომავლისა და პარტნიორების თავისუფლად არჩევის მხარდასაჭერად",** — აცხადებს კელი დეგნანი.

## გაუნათლებელი ნაცები განათლებაზე პარლამენტში ტრაგიმასკარადს აწყობენ



**პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კამათი იყო. დაპირისპირება ოპონენტებს შორის ზოგადი განათლების შესახებ კანონში ცვლილებების განხილვის დროს დაიწყო.**

„ნაციონალური მოძრაობის" წევრმა, თინა ბოკუჩავამ, უმრავლესობის წარმომადგენლის, თამარ ტალიაშვილის გამოსვლას ამორალური უწოდა.

**„არ ვარ განათლების კომიტეტის წევრი, მაგრამ იმდენად აღმაშფოთებელი, დაუსაბუთებელი, გაუმართლებელი და ამორალურიც კი ყო ქალბატონი თამარის გამოსვლა, რომ იძულებული გავხდი ამ საკითხზე მესაუბრა. ქალბატონმა თამარმა გუშინ თქვა: „თქვენ რომ რაიმე გაგეკეთებინათ განათლების სისტემაში, მაშინ ჩვენ ასეთ მდგომარეობაში არ დაგვხვდებოდა სისტემა". ქალბატონო თამარ, მე არ ვიცი სად გაიზარდეთ. უნივერსიტეტში მოსახვედრად აუცილებელი იყო 5-დან 10 ათას დოლარამდე ქრთამის გადახდა",** — განაცხადა ბოკუჩავამ. მიხეილ სარჯველაძემ კი ბოკუჩავას განცხადებებს ტრაგიმასკარადი უწოდა.






## როგორი „მადლობა" იცის მოსკოვმა და როგორ იყენებს კრემლი ანტიქართულ პროპაგანდაში საქართველოს ხელისუფლების განცხადებებს?!

**ერთმორწმუნე რუსეთიდან ანტიქართული პროპაგანდის ნაწილში სიახლე გვაქვს: ლუგარის ლაბორატორიის „აგენტი-კოღოების" ამასწინანდელ სადეზინფორმაციო ნარატივს დაემატა ზღაპარი „განსაკუთრებული სისასტიკით გამორჩეული ქართველი მოხალისეების" შესახებ. და რაც ალბათ, ყველაზე სამწუხაროა, წამყვანი კრემლელი დეზინფორმატორები თავის ბინძურ საქმეში საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებებსაც იშველიებენ.**

ასე, მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილმა ბატონმა სოლოვიოვმა გამოაქვეყნა შემდეგი შინაარსის პოსტი, რომელშიც მართალია, სათავისოდ გადაკეთებულად, მაგრამ ციტირებს საქართველოს კულტურის მინისტრ თეა წულუკიანს:

> **„ამჟამად უკრაინაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში ათასზე მეტი ქართველი „კომბატანტია" ჩაბმული. ამასთან, ქართველები არა მარტო ყველაზე მრავალრიცხოვანი, არამედ ყველაზე ულმობელი, არაადამიანური შეიარაღებული დაჯგუფებაცაა, რომელიც ყველა საერთაშორისო შეთანხმებისა და ადამიანური პრინციპების დარღვევით, სიკვდილით სჯის რუსეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეებს. ასე მოხდა, მაგალითად, კიევის ოლქში, სადაც ალყაშემორტყმულ რუს მედესანტეებს ჯერ ყელი გამოსჭრეს და მერე თავში საკონტროლო გასროლა განახორციელეს. ამასთან, ქართველი ლეგიონერების რაოდენობა იმდენად იზრდება, რომ ისინი ახალი შენაერთების ჩამოყალიბებას იწყებენ, როგორიცაა, მაგალითად, „საბრძოლო ფრთა". საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებიც კი ამ დაქირავებულებს დამნაშავეებად მიიჩნევენ. ასე, მაგალითად, ქვეყნის ვიცე-პრემიერმა თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ "უკრაინა ქართველი კრიმინალების ნაკრძალად იქცა".**

დასაწყისისთვის უნდა ითქვას, რომ კულტურის მინისტრი თეა წულუკიანი საუბრობდა არა ქართველ მებრძოლებზე, არამედ საქართველოს წინა ხელისუფლების უკრაინაში მყოფ წარმომადგენლებზე და სწორედ მათ უკავშირებდა უკრაინული მხარის ამასწინანდელ განცხადებას საქართველოს გავლით რუსეთისთვის ტვირთების კონტრაბანდასთან დაკავშირებით.

> **„ჩვენი ბრალი ვერ იქნება, თუ უკრაინა სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ჩემი იუსტიციის მინისტრობის პერიოდში გადაიქცა საქართველოდან გაქცეული კრი-**

მთავარი აქცენტები



# როცა სხვის მაგივრად გრცხვენია!




# დვალი, დვალმა, დვალს...

ერთი ძალიან ცნობილი გამოთქმის პერიფრაზით დავიწყებ — **გია დვალი ჩემი მოგვარეა, მაგრამ სიმართლე და სახელმწიფო მიზანი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია...** მსოფლიოს ისტორია იცნობს სხვადასხვა სფეროს ბევრ წარმატებულ ადამიანს, რომლებიც არათუ თავისი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არამედ ჩვეულებრივ ყოფით ურთიერთობებშიც ვერ ახერხებდნენ ღირსეულად წარმოეჩინათ თავი. **ორიოდ დღის წინ, სამწუხაროდ, ასეთთა რიგებში ჩაეწერა ავტორიტეტული ფიზიკოსის, გია დვალის სახელიც.**

ბატონი გია ჩემი წერილების „სტუმარი“ ადრეც ყოფილა. გემახსოვრებათ, როცა ბიძინა ივანიშვილს ჰქონდა მცდელობა, განათლებისა და მეცნიერების რეფორმების ჯგუფის ხელმძღვანელობა გია დვალისთვის ჩაებარებინა. **აშკარა იყო, რომ კარგი ფიზიკოსობა არ აღმოჩნდა საკმარისი პირობა მასშტაბური ცვლილებების შესამუშავებლად.** ფეხბურთს ვერ ვითამაშებ, მაგრამ კარგი და ცუდი ფეხბურთელის გარჩევა არ მეშლება. აქაც ასეა — **არ იყო ძნელი, გია დვალის დაბნეული საუბრებიდან ის დასკვნა გაგეკეთებინა, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა (არც გამოვიდა)!!!**

მთავრობის მეთაურობიდან საზოგადოებრივ სექტორში გადანაცვლების შემდეგ, ბატონი ბიძინას მეორე მცდელობას, ე.წ. რეფორმის იმავე საწყისზე დაბრუნებასთან დაკავშირებით, ასეთი სიტყვებით შევეხმიანე (მაქსიმალურად ვცდილობდი, აკადემიურად, მოზომილად გამომეხატა ჩემი სკეპტიკური დამოკიდებულება):

ბატონო ბიძინა, **„არ ჩანს, რომ ძველი შეცდომები კვალიფიციურად გაქვთ გაანალიზებული. საქმის წარმატებისთვის კადრების შერჩევას, როლების ცოდნის, უნარისა და გამოცდილების მიხედვით გადანაწილებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თქვენ ისევ გია დვალით დაიწყეთ საუბარი. ბატონ გიას, ალბათ, საპატიო თავმჯდომარის სტატუსი უფრო მოუხდებოდა, თუ მისი ავტორიტეტის გამოყენება მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ. რეფორმას უნდა წარმართავდნენ ის ადამიანები, ვისაც ამ სფეროს სისტემური ხედვა გააჩნიათ, ზედმიწევნით იცნობენ მას ეტაპების, საფეხურების ჭრილში.“** (For.ge 19.04.2014 — „ასე ვერ გავფრინდებით“)

მეორე მცდელობა სწრაფადვე ჩაიშალა. აშკარა იყო, რომ გია დვალი ამ ტვირთის ზიდვას ვერ მოახერხებდა, ვერ აიღებდა პასუხისმგებლობას აღნიშნულზე. ამაში არაფერი კატასტროფული არ არის — არ შეუძლია, არ არის მისი საქმე და მორჩა. მაგრამ ეტყობა ამ „მცდელობებმა“ მაინც დატოვა თავისი კვალი.

**უმძიმესი საყურებელი იყო, „ცნობილი მეცნიერის“ იმიჯის მქონე პიროვნების „ქვეყნის სიამოვნებით დამაზიანებლის“ იმიჯის მქონე გვარამიას განზომილებაში „კლონირება“.** გია დვალს მაგრად რომ შეეშალა, ამის საბუთად, ამა თუ იმ გარემოში ადამიანების ქცევის მეტ-ნაკლებად მცოდნე კაცისთვის (მთელი საქართველო ასეთია), მისი საუბრის **სამი ძირითადი მახასიათებლის** ჩამოთვლაც საკმარისი იქნება: **კატეგორიულობა, ისტერიულობა და ბრალდებების** (არა უკმაყოფილების ან პრეტენზიების, არამედ სწორედაც რომ ბრალდებების) **ფაქტებისა და არგუმენტების გარეშე უსისტემოდ გადმონთხევა.** ერთ-ერთი ყველაზე **ლოგიკური მეცნიერების წარმომადგენლის მხრიდან საკუთარი პასუხისმგებლობისადმი ამგვარი დამოკიდებულება** განსაკუთრებულ გაკვირვებას იწვევს და **ტოვებს იმ** ზემოხსენებულ **განცდას, რომ „პატრიოტიზმის ამოხეთქვა“ სუბიექტური მიზეზებით არის ნაკარნახევი.**

ა) არამეცნიერულ წრეებშიც კი ცნობილია, რომ **კატეგორიულობა** პრიმიტივიზმის ნიშანია და როცა გამოხატვის ამ ფორმას მიმართავს განათლებული და ცხოვრებაში ბევრის მნახველი კაცი, ვიტყვით ხოლმე, ბოლმამ გონება დაუბნელაო, ანუ ღირსება და პასუხისმგებლობა რაღაც პირადულმა გადაწონაო;

ბ) როგორც ფსიქოლოგები და ფსიქიატრები გვარწმუნებენ, **ისტერიკა** ძირითადად ქალური თვისებაა, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში რაღაც მსგავსი მამაკაცებსაც ემართებათ ხოლმე. დღევანდელ ქართულ რეალობაში ამის უამრავი მაგალითი გვაქვს იმავე გვარამიას, გია ხუხაშვილის, ირაკლი კაკაბაძისა და კიდევ სხვა მრავალი „ტელეგმირის“ სახით. **ეს მდგომარეობა, როგორც წესი, მაშინ ვლინდება ხოლმე, როცა ესა თუ ის ამბიციური, ან გარკვეული სუბიექტური მიზანს მატარებელი პერსონა რაიმეს მტკიცებას ვერ ახერხებს ფაქტებისა და არგუმენტების არქონის გამო და იმავდროულად, როცა მოწინააღმდეგის დიდ უპირატესობას მთელი არსებით გრძნობს, მაგრამ საკუთარ თავთანაც კი არ ძალუძს ამის აღიარება.** ასეთ უმწეო მდგომარეობაში მყოფი, თანაც ბოღმით სავსე კაცი, სასოწარკვეთილის კონვულსიებში რომ ვარდება, შეიძლება სულაც არ მოგვეჩვენოს უჩვეულო მოვლენად;

გ) **ფაქტებისა და არგუმენტების** თემა, თვითონაც შეამჩნევდით, თავისთავად მოვიდა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან განსხვავებული შეხედულებების დაპირისპირების შემთხვევაში, სიმართლის განმსაზღვრელი სწორედაც რომ ფაქტები და არგუმენტებია, რადგან მათ გარეშე „დისკუსიები“ მხოლოდ ყაყანი და ლანძღვა-გინებაა. როცა **ფაქტებისა და არგუმენტების** გარეშე ცდილობ რაღაცა **კატეგორიულად** ამტკიცო და ამის გამო, როგორც მოაზროვნე არსება, აშკარად გრძნობ, რომ ობიექტური მაყურებლის თვალში სრულიად არადამაჯერებლად გამოიყურები, ბუნებრივია, სასოწარკვეთაც გეუფლება და ეს ყველაფერი **ისტერიკაში** გაგდებს.

მსგავსი სამარცხვინო „დიალოგი“ იშვიათად მინახავს. მიუხედავად იმისა, რომ ჩანაწერს ვუყურე და ცოცხალი ეთერის ეფექტი, აპრიორი, დაკარგული უნდა ყოფილიყო, მაინც დამზაფვრელი ზემოქმედების მსხვერპლი გავხდი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. **ყველას ჰქონია ცხოვრებაში განცდა, როცა სხვის მაგივრად გრცხვენია... მთელი საქართველოს წინაშე, ცნობილ მკადრებელთან დუეტში, ასეთი ამაზრზენი სანახაობის „გმირად“ რომ წარმოჩნდები, თუ ცოტაოდენი თავმოყვარეობა გაგაჩნია, საზოგადოებას როგორ უნდა დაენახვო?..**

ჩემი პარიკმახერი მეორე დღეს მიყვებოდა (გადაცემა „ლაივში“ ჰქონდა ნანახი): ვა-ა, ეს რა იყო, ტო-ო... ისეთ სიგიჟეებს „გამოდიოდნენ“, მეგონა ბოლოში ცირკს მოაწყობდნენ (უნდოდა ეთქვა, პერფორმანსს მოაწყობდნენო) და წყვილ-წყვილად ღვინოში და „ბორჯომში“ ჩააფსამდნენ... ვა-ა, ნაღდი „ისტერიჩკები“ (ანუ, ისტერიკებიო) იყო, ტო...

**პიროვნულის ვერდაძლევის პრობლემა „იმედის“ ეთერში „დაზადნებულზეც“ აშკარად ჩანდა.** ყველანი, სამწუხაროდ, რესპოდენტის მხრიდან საუბრის ისევ ფაქტებიდან „აღქმების“ ტალღაზე გადატანის სამარცხვინო მცდელობის მოწმენი გავხდით.

არ გეკადრებათ, ბატონო გია, სირცხვილია!!

**ბიძინა დვალი**

11.04.2022 წ.

---

**მინალების ნაკრძალად. ამიტომაც მე ვისურვებდი, რომ უკრაინის მთავრობა არ აჰყვეს კრიმინალებს, მათ ნაამბობს, რაც არ უნდა ძნელი იყოს ომის პირობებში სიმართლისა და ტყუილის გარჩევა ხანდახან“,** — განაცხადა წულუკიანმა.

რაც შეეხება ქართველი მებრძოლების „ულმობელობისა“ და „არაადამიანურობის“ შესახებ სოლოვიოვის პროპაგანდისტულ ნარატივს, ის სადღეისოდ მისი მტკიცების გარდა, აბსოლუტურად არაფრით დასტურდება. კრემლის პროპაგანდისტის მიერ ნახსენები კონკრეტული ამბავი კი უკავშირდება დაუდგენელი ავტორების მიერ სოცქსელში გავრცელებულ ვიდეორგოლს, რომლის ავთენტურობა ამ დრომდე არ დადასტურებულა და მაღალი ალბათობით, ის, სხვა უამრავის მსგავსად, სხვა არაფერია, თუ არა რუსული მხარის მიერ დადგმული მორიგი ფეიქი.

თუმცა რუსეთის საგამოძიებო კომიტეტისთვის ეს „მყარი“ საფუძველი აღმოჩნდა ამასწინათ „ქართული ლეგიონის“ თავკაცის — მამუკა მამულაშვილის სისხლის სამართლებრივი დევნის დასაწყებად. რუსული უწყების საიტზე განთავსებულ ინფორმაციაში მოტივად „რუსი ჯარისკაცებისა და „როსგვარდიის“ თანამშრომლების მიმართ ომის წარმოების წესების დარღვევაა“ დასახელებული.

**„ქართული ლეგიონის“ მებრძოლებმა რუსი სამხედროების მიმართ დანაშაულები ჩაიდინეს. გარდა ამისა, მამულაშვილის მიერ გაკეთდა საჯარო განცხადებები განზრახვის შესახებ, სამომავლოდ რუსი სამხედროები და გვარდიელები აწამოს და მოკლას. მსგავსი ქმედებები ეწინააღმდეგება ჟენევის 1949 წლის კონვენციას ტყვეებთან მოპყრობის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელმა ბასტრიკინმა მომხდარის გარემოებების დადგენისა და ჩადენილ დანაშაულებთან შემხებლობაში მყოფი ყველა პირის სისხლის სამართლებრივი დევნის ბრძანება გასცა“,** — ნათქვამია რუსული უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ხსენებულ ვიდეოში სავარაუდოდ, ქართული წარმოშობის მებრძოლიც გამოჩნდა. თუმცა „ქართული ლეგიონის“ თავკაცის განცხადებით, აღნიშნული პირი „ლეგიონის“ წევრი არ არის.

„რადიო თავისუფლების“ ქართულ სამსახურთან ინტერვიუში მამულაშვილი გამოეხმაურა ასევე ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მას თითქოსდა გაცემული აქვს ბრძანება, რუსი სამხედროები ტყვედ არ აიყვანონ. როგორც „ლეგიონის“ მეთაური განმარტავს, მისი სიტყვები კონტექსტიდან იქნა ამოგლეჯილი:

**„ყველა ტყვეს უკრაინულ მხარეს გადავცემთ. ის რომ მქონოდა მხედველობაში, რომ ვინმეს ვკლავდეთ, პირდაპირ ვიტყოდი, რომ ტყვეებს ვკლავთ. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ რუსული მედია ჩემს სიტყვებს კონტექსტიდან ამოგლეჯილად გაავრცელებდა. რაც შეეხება ვიდეოჩანაწერს, არ გამოვრიცხავ, რომ ეს რუსული ფეიქი იყოს“.**

იმის სავარაუდო მიზეზების განმარტება, თუ რატომ ამოიღო რუსულმა პროპაგანდამ სამიზნეში ამჯერად ქართველი მებრძოლები, „აქცენტმა“ „საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ინსტიტუტის“ დამფუძნებელ **დავით ბრაგვაძეს** სთხოვა. მისი აზრით, უკრაინაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების მიუხედავად, საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები არსად გამქრალა, ვინაიდან ქვეყანა კვლავ მოსკოვის ინტერესის არეალში რჩება.

**„კრემლი აკვირდება შიდა პროცესებს, იყენებს „ჰიბრიდული ომის“ მექანიზმებს, მიზანი კი ჯამში ერთია — სახელმწიფო იყოს მაქსიმალურად დამყოლი. ზოგადად, მართალია, თბილისი ხკიევისგან — რედ.ჯ დისტანცირებას ახდენს, მაგრამ რუსები ჩვენ და უკრაინას მაინც ერთ პრიზმაში განგვიხილავენ. ამდენად, მათი პროპაგანდის მიხედვით, თუ უკრაინაში არიან „ფაშისტები“ და „ნაცისტები“, შეუძლებელია, ეს ყველაფერი ქართველების მონაწილეობის გარეშე ხდებოდეს. პროპაგანდისთვის დამატებითი საფუძველი აქვთ, რასაც საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებიც იყენებენ. მაგალითად, უკრაინაში სხვადასხვა პოზიციებზე ბევრი ქართველია, მათ შორის, რუსეთთან მოლაპარაკებების მაგიდასთანაც ეროვნებით ქართველი ზის; ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი უცხოური ლეგიონიც ჩვენ გვყავს. ანუ, „ქართველი“ მათთვის მთავარი თემაა. გარდა ამისა, გმირობა გადამდები რამაა და ეს ეფექტიც აშინებთ: განწყობები იმ ქართველებს შორისაც იცვლება, რომელთაც ადრე ეშინოდათ, ამბობენ, რუსები „არც ისე უძლეველები ყოფილანო“. ამასთან, საქართველოში მიმდინარე მოვლენებსაც აკვირდებიან და ხედავენ, რომ მოსახლეობაში გარდა ანტირუსული განწყობებისა, ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილებაც გაზრდილია. „კრიმინალები უკრაინის მხარეს არიან და გონიერი ქართველები ჩვენს მხარეს დგანანო“ — ცხადია, ამ ნარატივსაც ავითარებენ. მაგრამ მათთვის ყველაზე ნოყიერი ნიადაგი იქმნება მაშინ, როდესაც მკვეთრი პოლარიზაციაა ხელისუფლებასა და ხალხს შორის, რაც არ უნდა პრორუსული იყოს ეს ხელისუფლება: რაც უფრო მყიფეა ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ნდობა, რუსეთისთვის მით უფრო ადვილია, ზეწოლა განახორციელოს კონკრეტულ რეჟიმზე“,** — ამბობს ბრაგვაძე.

ამასთან, ანალიტიკოსი შიშობს, რომ „ვინაიდან მმართველი გუნდი რუსეთთან მიმართებით ისედაც მოწყვლადია და პროცესებზე მხოლოდ ვიწროპარტიული თუ პერსონალური ინტერესებით რეაგირებს, შიდა და გარე ზემოქმედების გაზრდის შემთხვევაში ვითარება კიდევ უფრო დამძიმდება“.

**საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 10% უჭერს მხარს „ნაციონალურ მოძრაობას“, რაც იმას ნიშნავს, რომ არჩევნები ხელისუფლებაში დაბრუნების წყარო არ არის. შესაბამისად, რადიკალური ოპოზიცია ხელისუფლებაში დაბრუნების მთავარ წყაროდ რევოლუციას და რადიკალიზმს მიიჩნევს. სწორედ პროცესების რადიკალიზმზე იმსჯელეს 6-8 აპრილს ROOMS KOKHTA-ში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და რადიკალური ოპოზიციის წევრებმა. ბაკურიანში გამართული ე.წ. ტრენინგის (რომელიც ამერიკელი გადასახადის გადამხდელების თანხებით დაფინანსდ), მთავარი საკითხი ხელისუფლების დამხობის გეგმის შემუშავება და წარმოდგენა იყო.**




# აკერმანის „სპამ“ ბაკურიანში ხელისუფლების დამხობის გეგმა შეიმუშავა!

ე.წ. ტრენინგში მონაწილეობდნენ — „ნაციონალური მოძრაობა“ — **ხატია დეკანოიძე;** „დროა“ — **ბათუ ქუთელია;** „ევროპული საქართველო“ — **გიგა ბოკერია;** „გირჩი“ — **ზურაბ ჯაფარიძე** და პარტია „ლელო“. გარდა ამისა, ტრენინგს ესწრებოდნენ ტელეკომპანია „ფორმულას“ და „მთავარი არხის“ წარმომადგენლები. მათ შორის იყვნენ **ა-რ** წარმომადგენელი **გიორგი მშვენიერაძე** და „სირცხვილიას“ აქტივისტები. როგორც ირკვევა რადიკალური ოპოზიციის „რევოლუციური კომიტეტის“ მთავარი მოქმედი პირი, ტრენერი და მოდერატორი **პიტერ აკერმანი** იყო. ცნობილი პოლიტტექნოლოგი, რომლის ორგანიზაციის ჩართულობით ბოლივიის პრეზიდენტის **ევო მორალესისა** და იუგოსლავიის პრეზიდენტის **სლობოდან მილოშევიჩის** დამხობა მოხდა.

აკერმანი „გამოყენებითი არაძალადობრივი ქმედებებისა და სტრატეგიების ცენტრის“ დამფუძნებელი და პოლიტიკური ორგანიზაცია „ამერიკელების არჩევანის“ თავმჯდომარეა. ის ცნობილი გახდა აქტივისტების მომზადებით, რომლებსაც მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში აგზავნიან ხელისუფლების დასამხობად, ადგილობრივი პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების დასატრენინგებლად, რათა უფრო ეფექტურად აწარმოონ სამოქალაქო დაუმორჩილებლობის კამპანიები.

როგორც ირკვევა, ბაკურიანის შეხვედრაზე დიდი დებატები გაიმართა, თუ როგორ უნდა მოხდეს საზოგადოების მობილიზება, ხელს უშლის თუ არა პროტესტის ესკალაციას ოპოზიციას პარლამენტში ყოფნა და პატიმარი სააკაშვილის საკითხის აქტუალიზება.

რადიკალური ოპოზიცია დასახული გეგმის განხორციელებას შეუდგა და ამას ადასტურებს ტელეკომპანია „ფორმულას“ დირექტორის **მიშა მშვილდაძის** მოწოდება — **„შევიკრიბოთ და დავლეწოთ კანცელარია“**. ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ რადიკალები, მათ შორის აშშ-ის საელჩო. „ქართული ოცნების“ წევრის **მიხეილ ყაველაშვილის** განცხადებით, საზოგადოება მხარს უჭერს „ქართულ ოცნებას“ და ამით „ნაციონალურ მოძრაობას“ შანსი არ აქვს ხელისუფლებაში მოვიდეს.

**„მხოლოდ რევოლუცია და ნახეთ, აბა? ვერც ერთხელ ვერ შეაგროვეს ხალხი, ნახეთ, რა დღეში არ არიან. რისი რევოლუცია და რისი გადატრიალების გამკეთებლები არიან? არაფრის მაქნისები არიან“,** — აცხადებს **მიხეილ ყაველაშვილი.**

აღსანიშნავია, რომ ბაკურიანში გამართულ ე.წ. ტრენინგზე მიწვეული არ იყო ის ოპოზიციური პარტიებ, რომლებიც ბრალდებულ მიხეილ სააკაშვილის მიმართ ღია მხარდაჭერას არ გამოხატავენ.

ანალიტიკოსი **დავით ქართველიშვილი** აცხადებს, რომ რადიკალური ოპოზიციის მთავარი მოტივია აითვისონ ის თანხები, რა თანხებიც დღემდე ერიცხებათ არასამთავრობო სექტორის ანგარიშებზე.

**„სამწუხაროდ, ამერიკელი გადამხდელების მიერ გადახდილი თანხა ერიცხებათ, რომელიც რეალურად უნდა მოდიოდეს საქართველოში დემოკრატიული პროცესების განვითარების ანგარიშზე, მაგრამ ამ მავნებლებს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცების სახით მონოპოლიზებული აქვთ ფინანსური არხები და ასეთი ტრენინგების მეშვეობით და ფერადი რევოლუციების თეორიტიკოსების მოწვევებით ახდენენ ამ ფინანსების გადანაწილებას.**

**რა თქმა უნდა, არც ერთ მათგანს არ სჯერა იმისა, რასაც უნდათ მიაღწიონ. ძალიან კარგად იციან, რა ადამიანური რესურსი გააჩნიათ, მაგრამ მთავარია, რომ ფული მოდის საქართველოში. მთავარია, რომ ამ ტრენინგებს ესწრება გარკვეული წარმომადგენლობა, რომლებიც თავს ასაღებენ ოპოზიციურ სპექტრად.**

**საინტერესოა, ამ ტრენინგზე არ იყო დაპატიჟებული არც ერთი ოპოზიციური სპექტრის ის წარმომადგენელი, რომელიც არ იზიარებს რადიკალური და დესტრუქციული ოპოზიციური სპექტრის მიდგომებს. წარმოდგენილი იყვნენ ისინი, რომლებიც ამ დესტრუქციის და რადიკალიზმის ნარატივს მიჰყვებიან. სვამენ ყავას და ელოდებიან თანხების ჩარიცხვას. ტრენინგიდან-ტრენინგამდე გაჰყავთ თავისი პოლიტიკური ცხოვრება“,** — აცხადებს **დავით ქართველიშვილი.**

ანალიტიკოს **ზაალ ანჯაფარიძის** გაცხადებით, „ნაციონალური მოძრაობისა“ და რადიკალური ოპოზიციის შეკრების მთავარი საკითხი იყო ხელისუფლების დამხობის გეგმის შემუშავება. მისი თქმით, ეს ყველაფერი ზუსტად ჯდება სააკაშვილის დირექტივაში, რომ „გაზაფხულზე ყველაფერი უნდა დასრულდეს“.

**„მაშინ, როდესაც ოპოზიცია ერთი ხელით ხელისუფლებას თანამშრომლობას სთავაზობს, მეორე ხელით მისი დამხობის გეგმებს აწყობს. როგორც ინფორმაციამ გამოჟონა, ამ ბაკურიანში „რუმსში“ ჩატარებულა რადიკალური ოპოზიციის და მასთან აფილირებული რადიკალ აქტივისტების ტრენინგად მონათლული სერობა, სადაც ფაქტობრივად, მორიგი „რევოლუციური კომიტეტის“ და ხელისუფლების დამხობის მონახაზი შედგა. რა თქმა უნდა, ისინი იტყვიან, რომ ეს ჩვეულებრივი ღონისძიება იყოო და ა.შ. მაგრამ უკვე გვაქვს გამოცდილება, თუ რა მოსდევს მსგავს „ტრენინგებს.“**

**2003 წელსაც ზუსტად იგივე ხდებოდა. ეს ყველაფერი კი ზუსტად ჯდება სააკაშვილის დირექტივაში, რომ „გაზაფხულზე ყველაფერი უნდა დასრულდეს“. ამას ებმის „უკრაინის თემაც“ თუმცა, ერთ რამეს ვერ ითვალისწინებენ, დღეს არა 2003, არამედ 2022 წელია და ეს ტოქსიკური შემადგენლობა, მათი ძველი თუ ახალი სახეებით, უკვე ლუსტრირებულია. ტირანია საქართველოში 2012 წელს დასრულდა, აკერმანის და მისი წიგნის დახმარების გარეშე და ის ველარ დაბრუნდება“,** — ამბობს **ზაალ ანჯაფარიძე.**

**თამთა ქარჩავა**

## ეს სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულებაა!!!

### ქალბატონო დეგნან, იცოდით რისთვის იყო საქართველოში ჩამოსული აკერმანი?



მომღერალმა და ტელეწამყვანმა, საზოგადოებრივი მოძრაობა „აი იას“ დამფუძნებელმა **გია გაჩეჩილაძემ** ევროპის მოედანზე, ბერლინის კედლის ფრაგმენტთან, ჟურნალისტებთან ისაუბრა და ბაკურიანში გამართულ შეხვედრაზე გაამახვილა ყურადღება.

**„საქართველოში ჩამოსული იყო პიროვნება პიტერ აკერმანი, ამერიკელი, რომელიც სახელმწიფო გადატრიალებების მოქმედებაშია დაოსტატებული. ბაკურიანში შედგა შეხვედრა და ტრენინგები ჩაატარა ქართულ ოპოზიციასთან და არა მხოლოდ მათთან, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციებიც იყვნენ იქ წარმოდგენილნი. ჩემი აზრით, ესაა სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულება, რადგან იქ განიხილებოდა საკითხები, თუ როგორ შეიძლება მოიშორონ და გადააგდონ ხელისუფლება. ამიტომ, მინდა, ხმამაღლა განვაცხადო, რომ საზოგადოებრივი მოძრაობა „აი ია“ ყოველთვის ჩვენი ქვეყნის სიმშვიდის, უსაფრთხოების, უშიშროებისა და თავისუფლების სადარაჯოზე ვიდგებით. ჩვენს ქვეყანას დღეს, ისე, როგორც არასდროს, სჭირდება სიმშვიდე, დაფიქრება, ამ ყველაფრის გაანალიზება და შემდგომი განვითარება. ნურავის ექნება ტყუილად იმედი, რომ ამ ქვეყანაში გადატრიალების მსგავს რაიმეს მოაწყობს. ჩვენ ძალიან ბევრი მსგავსი შემთხვევა გავიარეთ და ყველაფერზე, რაც სახელმწიფო გადატრიალებებს შეეხება, უარი ვთქვით. უარი ვთქვით დესტრუქციაზე, რომელსაც დღევანდელი ოპოზიცია და არასამთავრობო ორგანიზაციები აკეთებენ“, — აღნიშნა გია გაჩეჩილაძემ. მან საქართველოში აშშ-ის ელჩს, კელი დეგნანს მიმართა. „მინდა, კითხვა დავუსვა ღრმად პატივცემულ ამერიკის ელჩს, კელი დეგნანს — მან თუ იცის, რომ ეს პატივცემული პიროვნება ხპიტერ აკერმანიჯ ჩამოსული იყო საქართველოში და მართავდა ტრენინგებს? თუ იცის, რა მიზნით იყო ის ჩამოსული და საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რა პასუხი ექნება მას. მეორე — მინდა, ხელისუფლებას დავუსვა კითხვა და პრეტენზია გამოვთქვა; თქვენ თუ იცოდით, რომ ასეთი პიროვნება ჩამოდიოდა საქართველოში, რატომ არ აღკვეთეთ მისი ჩამოსვლა? რატომ შემოუშვით საქართველოში და რატომ მიეცით იმის უფლება, რომ ეწარმოებინა ასეთი ტრენინგები ბაკურიანში?“,** — განაცხადა გია გაჩეჩილაძემ.

## აპირებენ არარსებული ტირანიის დამხობას... ტირანიის დასაბრუნებლად



**„რადიკალური ოპოზიციის საიდუმლო შეხვედრა გათახსირებული-ავანტიურისტ პიტერ აკერმანის ხელმძღვანელობით, კიდევ უფრო დიდ ეჭვებს აჩენს. მიზეზი კი ისაა, რომ რადიკალების გადატრიალების და რევოლუციის მოწყობის დაუოკებელი სურვილი მუდმივად აქვთ, მაგრამ არ გამოსდით. რომ არ გამოსდით, და აკერმანის მოწვევა ამ „ტრენინგზე“ კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გადატრიალებისთვის საკუთარი არც ჭკუა, მარიფათი და არც მხარდაჭერების რაოდენობა ყოფნით. „ძია, პიტერ, დაგვეხმარე და გვიშველე“-ს, რომ დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს და შეხვედრა გაასაიდუმლოებს ფაქტია, თუმცა ინფორმაციამ მაინც გამოჟონა (რამდენი ამბის გამომტანი და გამყიდველი ჰყავს რადიკალებს თავის რიგებში თვითონ გაარკვიონ!). ერთ-ერთი საინტერესო მომენტი კი ის გახლავთ რადიკალური ოპოზიცია, ყველაფერს აპიარებს და რაღა ეს ბაკურიანის შეხვედრა დაუმალა მასმედიას? ეტყობა იმდენად არ უნდოდათ გამჟღავნება, დღესაც რომ ეკითხებიან ჟურნალისტები, ისე გაურბიან კითხვაზე პასუხს, ნებისმიერ სპრინტერს შეშურდება. ე.ი. შეხვედრა იყო, რა საკითხებზე ისაუბრეს ვერჰარ ამბობენ და ცოტა არ იყოს უხერხულად იშმუშნებიან. როგორი საქმეა, არარსებული ტირანიის დამხობას აპირებდნენ, მართლა ტირანიის დასაბრუნებლად. აი, უხერხულობა მერე ნახეთ, აკერმანის დატრენინგებულები მაინც რომ ჩაფლავდებიან, ან სამართალდამცველებამდე, ხალხი თუ მიადგა მათ ოფისებს და ჰკითხა-აბა, გვითხარით რის გადატრიალებას აპირებდით და რატომ...“** — წერს ექსპერტი ლევან ნიკოლეიშვილიFacebook-ზე.

**ხომ არ დადგა ჟამი, მოიცალონ და ამ თემაზე იმსჯელონ მათ, სახელმწიფო ენის ბედზე ზრუნვა უმთავრესად ვისაც ევალება – საქართველოს მთავრობამ... საქართველოს პარლამენტმა... სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა...**

# ჩვენი ბედისწერა განათლებაზეა დამოკიდებული!




გრიგოლ ორბელიანი წუხდა: „ვაჰ, თუ რაც წახდეს, ვეღარა აღჰსდგეს, ვეღარ აღყვავდეს ახლის შვენებითო"... საქართველოს ბედი ადარდებდა პოეტს... ჰ ქონდა მიზეზი ეჭვისა: მარტივი ჭეშმარიტებაა – წახდენა იოლია, ბოროტი ხელის ერთი მოქნევა სჭირდება; აღდგენა – ძალიან ძნელი: ერთგული ხელის სიმრავლე და ხელისუფლის კეთილი ნებაა აუცილებელი!.. ეს ორი სიკეთე ცალცალკე უძლურია... ამის ნათელი მაგალითია თუნდაც **ქართული ენის ბედი XXI საუკუნეში...** ამ თემით დაინტერესებული მკითხველისათვის ახალს თითქმის არაფერს ვიტყვი; გავიმეორებ არაერთგზის თქმულს; გავიმეორებ არა იმ პრინციპით, „გამეორება ცოდნის დედააო", არამედ – სინანულით, კვლავაც რომ გვიწევს ამაზე საუბარი, კვლავ მოუგვარებელი რომ არის პრობლემა...

მოდით, ისევ გავიხსენოთ: რამდენად **საბედისწერო აღმოჩნდა ქართული ენისთვის XXI საუკუნე;** გავიხსენოთ არაერთგზის თქმული: **მე-3 ათასწლეულის კარიბჭესთან** (2004-2005 წლებში) ქართული ენის მიმართ გატარდა **უმკაცრესი „სამთავრობო ღონისძიებანი"**:

**გააუქმეს** საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის კომისია;

**გააუქმეს** პარლამენტში ქართული ენის ქვეკომიტეტი;

**გააუქმეს** ენის სახელმწიფო პალატა;

**გაქრა** („დაიკარგაო") პარლამენტში განსახილველად შეტანილი „ენის კანონ-პროექტი";

**გააუქმეს** ყველა ჟურნალი და გაზეთი, რომელიც ქართულ ენას ეხებოდა;

**გააუქმეს** ყველა ტელე და რადიოგადაცემა ქართული ენის შესახებ;

**შეამცირეს** სკოლებში ქართული ენის საათები...

პირველ კლასში ქართული ენის საათები **გაუყვეს უცხო ენას...**

**გააუქმეს** სავალდებულო-საუნივერსიტეტო საგანი **„ქართული ენა"** (ქართული მეტყველების კულტურა), რომელიც ისწავლებოდა ყველა უმაღლეს სასწავლებელში არაჰუმანიტარულ სპეციალობებზე...

თითქოსდა დრო იხელთესო, **„სამთავრობო ღონისძიებებს"** შემდეგ მოჰყვა **„კერძო უწყებრივი ინიციატივები"** (დაგეგმილი თუ „გაუთვალისწინებელი") და ჩვენს უნივერსიტეტებში ამ ტალღამ (ერთგან „ნაცტალღაც" ვუწოდე) თავისი **„ცოდვილი ხელი"** მკაცრად ჩასჭიდა **ქართულ ენას** (დიახ, ეს ის ცოდვილი ხელია, ილია რომ გვაფრთხილებდა „ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოსო!")...

და ამ „სამთავრობო თუ კერძო ღონისძიებებმა" **ქართული ენის ცოდნის დონე კატასტროფულად დასცა:**

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ **მწერალ კოტე ჯანდიერს** ვუსმინე ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში; საგანგაშო ფაქტზე გაამახვილა ყურადღება:

„მე გავეცანი კვლევის შედეგებს, რომელიც ჩატარდა 2011 წელს 150 ქვეყანაში. VII–IX კლასელთა ტესტირება ჩატარდა, არა ფიზიკასა და ქიმიაში, არამედ „ტექსტის გაგების უნარში". 150 ქვეყანაში ბოლოდან მე-7 ადგილზე ვიყავით. ჩვენ გვისწრებდნენ ისეთი ქვეყნები, რომლებიც არც გამიგია... ეს მონაცემები იმ წელს ქართულმა საზოგადოებამ ვერ გაიგო – ტაბუდადებული იყო ამის გასაჯაროება... მერე მოვიკითხე, კიდევ ხომ არ ჩატარდა მსგავსი კვლევა-მეთქი; რამე ხომ არ შეიცვალა-მეთქი... თურმე ჩატარდა 2018 წელს... ზუსტად იქ ვართ, სადაც ვიყავითო..." – წუხდა მწერალი.

ამ უკანასკნელი (2018 წლის) კვლევის შედეგების შესახებ საუბარია საქართველოს მთავრობის მიერ ახლახან დამტკიცებულ დოკუმენტში **„სახელმწიფო ენის სტრატეგია (ერთიანი პროგრამა) 2021-2030":**

„ქართული ენის ცოდნის დონე მოსწავლეებში საკმაოდ დაბალია. აღნიშნულს ადასტურებს საერთაშორისო კვლევებიც. **პიზის (PISA) კვლევების 2018 წლის** მონაცემების მიხედვით, საქართველოს 79 მონაწილე ქვეყანას შორის 280 ქულა აქვს, რაც **ძალიან დაბალი შედეგია** (მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა **PISA 2018, 2020"** („სახელმწიფო ენის სტრატეგია", გვ. 43)...

ამავე დოკუმენტში **სტუდენტების ცოდნის საგანგაშოდ დაბალ დონეზეც** არის საუბარი და მოშველიებულია რუსთაველის საზოგადოების კვლევის შედეგები: „სტრატეგიაზე მუშაობისას გაანალიზებული იქნა რუსთაველის საზოგადოების მიერ ჩატარებული ზედაპირული მოკვლევის მასალები, რომლებიც ცხადად აჩვენებენ **საუნივერსიტეტო საფეხურზე ქართული ენის ფლობისა და წიგნიერების დაბალ დონეს"** (გვ. 45). ეს კვლევა ჩვენ ჩავატარეთ და რადგან ყურადღება მიიპყრო და სამთავრობო დოკუმენტში „მოხვდა", უფრო კონკრეტულად წარმოგიდგენთ შედეგებს:

პრესტიჟული უნივერსიტეტების ჰუმანიტარული ფაკულტეტების პრესტიჟული სპეციალობის პირველკურსელებს სამი შეკითხვა დავუსვით (2018 წელს):

1. **რომელ ბრუნვაშია** ხაზგასმული სიტყვა (6 წინადადება),

2. **რომელ რიცხვშია** ხაზგასმული სახელი (4 წინადადება),

3. **რომელ მწკრივშია** ხაზგასმული ზმნა (6 წინადადება).

საერთო შედეგი ასეთი იყო: დასმულ კითხვებზე **სწორი პასუხი გასცა 40%-მა; არასწორი – 60%-მა.** ეს საგანგაშო მაჩვენებელია და, აი, რატომ: გამოკითხულმა **სტუდენტებმა ორიოდე თვის წინათ** ორი სეროზული ბარიერი **გადალახეს (სასკოლო-გამოსაშვები და ეროვნული გამოცდები) ქართულ ენაში** და, ცხადია, **მიიღეს მაღალი (!) შეფასებები** (სხვაგვარად ვერ დაამთავრებდნენ სკოლას და ვერ მოხვდებოდნენ უნივერსიტეტში)! გამოკითხვის შედეგები ვნახეთ (ძალზე სერიოზული პრობლემა სკოლისა, გამოცდებისა, მაგრამ ამაზე სხვა დროს)... ასეთია ჩვენი ახალგაზრდობის **ცოდნის დონე სახელმწიფო ენისა**!... და დონე განათლებისა!..

2021 წლის სააღდგომო ეპისტოლეში საქართველოს **კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ** განგაშის ზარი შემოჰკრა:

„**მიზანმიმართულად** ხდება ზოგადად არსებული ნორმების რღვევა, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სტრუქტურების დაკნინება, **განათლების დონის დაცემა,** სიღრმისეული აზროვნებისთვის საფუძვლების მოშლა"... (ხაზი ჩვენია). ჩვენ მხოლოდ ერთ ასპექტზე გავამახვილებთ ყურადღებას: **„განათლების დონის დაცემა მიზანმიმართულად"...** უმძიმესი ბრალდებაა... ვისაც ეხება, შეიძლება პასუხი გაუჭირდეს, მაგრამ ვიღაცამ რაღაც ხომ უნდა იღონოს ვითარების შესაცვლელად?..

აღარ მოგწყინდაო? მკითხავს მავანი, მერამდენედ უნდა ისაუბრო ამ თემაზეო... რა გითხრათ; ცხადია, არ გვეხალისება, მაგრამ ვითარება რომ არ იცვლება?.. ინტერესისთვის ორიოდე სათაურს გავიხსენებ ადრეული პუბლიკაციებისას:

**ბედი ქართული ენისა მესამე ათასწლეულის კარიბჭესთან:** გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 11 მარტი, 2005...

**ასეთი შეტევა ქართულ ენაზე არ ყოფილა XIX საუკუნეში:** გაზეთი „რეზონანსი", 18 ნოემბერი, 2004; „ახალი განათლება", 21-22 ოქტომბერი, 2004;

**რას იტყვის ჩვენზე შთამომავლობა?:** „თბილისი", 2004;

**განათლება – ჩვენი ბედისწერა:** „სამი საუნჯე", №3, 2012;

**ჟამი ეროვნული სკოლის ძნელბედობისა:** გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", №161, 23 აგვისტო, 2013 და მრავალი სხვა...

მხოლოდ სათურების თვალის გადავლებაც კი წარმოაჩენს პრობლემის **სიმწვავესაც**, არსებული რეალობის **ტრაგიკულობასაც** და **უშედეგო ბრძოლის ისტორიასაც...**

არ ვამბობ, რომ ერთი ავტორის შეძახილი იყო მხოლოდ... არა, ბევრი ფიქრობდა ასე... ბევრიც დაიწერა; ბევრი გადაცემაც მიეძღვნა... მერე რა?..

ვეღარ მითქვამს, არავინ ისმენს ჩვენს ხმას-მეთქი: პატრიარქს არ უსმენენ და... დავიჩივლე ერთხელ, საუბედუროდ, **წაყრუება მომგებიან პოზად იქცა...**

2004-2005 წლებში გატარებული „სამთავრობო ღონისძიებათა" შემდეგ წინგადადმული ნაბიჯი იყო „**სახელმწიფო ენის კანონის მიღება** (2015 წ.); კანონის ამოქმედება დიდწილად დამოკიდებული იყო სახელმწიფო ენის დეპარტამენტის შექმნაზე; დიდი დაგვიანებით მაგრამ მაინც – შეიქმნა **სახელმწიფო ენის დეპარტამენტი** (2017 წ.), რომელსაც უნდა შეემუშავებინა ქართული ენის ეროვნული პროგრამა; როგორც იქნა (ესეც დაგვიანებით!) **შეიქმნა მსგავსი დოკუმენტი** (2021 წ.) მაგრამ... **საქმე ისევ იგვიანებს...** კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, სტრატეგიული გეგმის საფუძველზე მივმართე არაერთ ინსტანციას: სტრატეგიული გეგმაში დასმული თუნდაც ეს ერთი საკითხი მოეგვარებინათ: **ეზრუნათ უკანონოდ გაუქმებული „ქართული ენის" საუნივერსიტეტო კურსის აღდგენაზე**...

ჩვენ ოფიციალურად განგვიმარტეს, რომ „**სამინისტრო იცავს უნივერისტეტების ავტონომიურობის პრინციპს, რის გამოც ის ვერ უკარნახებს ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებელს კურსის დამატებას ან ამოღებასო"...**

მაშინაც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: **სახელმწიფო ენის სწავლების პრობლემურ საკითხს სახელმწიფო უნდა წყვეტდეს „კანონისა" და „სტრატეგიის" შესაბამისად.** „ქართული ენა" არ არის რიგითი საგანი, რომ ამა თუ იმ რექტორისა თუ ლექტორის გადასაწყვეტი იყოს მისი არსებობის საკითხი...

**სახელმწიფომ** „ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებელს კურსის დამატება ან ამოღება" კი არ უნდა უკარნახოს, **სახელმწიფო ენის სწავლების მოწესრიგება უნდა დაავალოს;** ცოდნის დონის ამაღლება უნდა მოსთხოვოს და გზები უჩვენოს ამის მიღწევისა, დირექტივა მისცეს!...

ასე მესმის მე კანონის არსებობაც და სტრატეგიისაც... (და დეპარტამენტისაც!)...

თუ სახელმწიფო **არ იზრუნებს** კანონის აღსრულებაზე; სახელმწიფო ენის დეპარტამენტი თავის მოვალეობას არ შეასრულებს, სახელმწიფო ენის ეროვნული გეგმის მიხედვით სწავლების პრობლემა არ მოგვარდება, **გაგრძელდება „განათლების დონის დაცემა მიზანმიმართულად"!...**

არადა ბრძენკაცი გვაფრთხილებდა: **„ჩვენი ბედისწერა განათლებაზედ არის დამოკიდებულიო"...**

დაბოლოოს: ეს წერილი გრიგოლ ორბელიანის დაეჭვებით დავიწყე და ალექსანდრე ჭავჭავაძის იმედიანი შემოხმიანებით მინდა დავასრულო:

**„მე ამას ვჰსტირი განაწირი, ვაჰ თუ ვესწრა ვერ!..**
**თვარაღა ჟამი, გულთ მაამი,**
**კვლავცა იქნების..."**



**გიორგი გოგოლაშვილი,**
**პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების თავმჯდომარე**

# იქ, მყინვარწვერის მხარეში...

**დიდი კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთის მისადგომი, საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხე მცხეთა-მთიანეთი, ქვეყნის სხვა წარმტაც მხარეთა შორისაც კი გამორჩეულია თავისი ბუნების მშვენიერებით, დიდებული ისტორიული წარსულითა და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობით — საუკუნეთა წიაღიდან ჩვენამდე ძველებური მედიდურობით მოღწეული სვეტიცხოვლისა და გერგეთის სამების ტაძრებით, ჯვრისა და შიომღვიმის მონასტრებით, ანანურის ციხით, შატილით, კიდევ მრავალი ძეგლით... სახელოვანი ისტორიული წარსული, მრავალფეროვანი ბუნება — მარადიული ყინულით დაფარული მწვერვალები, ანკარა მდინარეები და ტბები, ულამაზესი ხეობები, მდიდარი კულტურული, ეთნიკური და რელიგიური მემკვიდრეობა: ფოლკლორული დღესასწაულები — სვეტიცხოვლობა, ლომისობა, გერგეთობა, ლაშარობა, ათენგენობა, ძველთაძველი თქმულებები, ლეგენდები, ადათ-წესები და, რაც მთავარია, — თავად ხალხი, უამრავ სტუმარს წლის ყოველ დროს იზიდავს.**



მცხეთა-მთიანეთის მხარე, რომელიც რამდენიმე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს, მათ შორის, მცხეთას, დუშეთს, თიანეთსა და ყაზბეგს მოიცავს, ქვეყნის შუაგულის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეგიონია. ეკონომიკის წამყვანი დარგებია სოფლის მეურნეობა და ტურიზმი, რომელთა განსავითარებლად მხარეში ბოლო წლებში ძალიან ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა. ამის დასტურად მარტო იმის თქმაც იკმარებს, რომ 2013 წლიდან მოყოლებული, მხარის მოსახლეობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეგიდით განხორციელებული მრავალი სახელმწიფო პროგრამითა თუ პროექტით სარგებლობს. მათ შორისაა, კერძოდ, „შეღავათიანი აგროკრედიტი“ და „დანერგე მომავალი“, რაც მებაღეობით დაინტერესებულ მეურნეთა განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევენ. ასევე უაღრესად აქტუალურია სახელმწიფო პროგრამები „აწარმოე საქართველოში“, სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების მიმართულება „უმასპინძლე საქართველოში“ და სხვები (ამასთან, აღსანიშნავია, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტში, დედაქალაქთან სიახლოვის გამო, სხვადასხვა სამეწარმეო საქმიანობაა განვითარებული).

მცხეთა-მთიანეთის მხარე ერთ-ერთი გამორჩეულია საქართველოში ტურიზმის განვითარების პოტენციალის მხრივაც. მისი ოთხივე მუნიციპალიტეტი იშვიათი ისტორიული წარსულითაა გამორჩეული. ამ მხრივ უდავოდ, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს უძველეს დედაქალაქ, მცხეთას, რომელიც იუნესკოს მიერ მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი. ზოგადად, მხარეში უდიდესი შესაძლებლობებია ისტორიული წარსულის ჯეროვნად წარმოსაჩენად, მათ შორის აღდგება XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე აშენებული 41 სახლი, რომელთაგან 24 კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი აქვს მინიჭებული.

**მხარეში აქტიურად მიმდინარეობს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების პროცესი. ამ მიმართულებით, ოთხივე მუნიციპალიტეტში უკვე არაერთი პროექტია განხორციელებული, თუმცა ახალი გზების გაყვანა კვლავაც მთავარ პრიორიტეტად რჩება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქვეშეთი-კობის 23-კილომეტრიანი გზისა და 9-კილომეტრიანი გვირაბის აქტიური მშენებლობა. ეს უკანასკნელი დიამეტრში 15 მეტრისაა და ყველაზე დიდი იქნება საქართველოში, საინჟინრო უნიკალურობით კი მსოფლიოს გამორჩეულ გვირაბთა ნუსხაში შევა.**

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ორზოლიანი ასფალტ-ბეტონის გზის, ხუთი ახალი ხიდისა და ხუთი გვირაბის მშენებლობა, ასევე ერთი ძველი ხიდის აღდგენა. ამ სფეროში განხორციელებულ პროექტთა შორის ასევე აუცილებლად უნდა აღინიშნოს კობი-გუდაურის დამაკავშირებელი საბაგირო გზა, რომელსაც ტურისტული მიზნების გარდა, დიდთოვლობისა და ზვავსაშიშროების დროს მოსახლეობის უსაფრთხო გადაყვანის დატვირთვაც ექნება.



**ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების ორგანოების ყურადღების ცენტრშია მცხეთა-მთიანეთის მხარეში განათლების სფერო. აქ ბოლო წლებში აშენდა თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი არაერთი საჯარო სკოლა და საბავშვო ბაღი. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით აქ დასრულდა №3 საბავშვო ბაღის, აქაური №1, №2, აგრეთვე სოფელ ბულაჩაურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სრული აღდგენითი სამუშაოები. სოფლებში — მჭადიჯვარსა და მაღაროსკარში კი ახალი სკოლამდელი აღზრდის ცენტრები აიგო. ასევე შარშან ოთხი ახალი საბავშვო ბაღი აშენდა და შესაბამისი ინვენტარით აღიჭურვა მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში ბიწმენდში, აღდგომლიანთკარში, ვაზიანსა და ძველ ქანდაში.**

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ბოლო დროს ქ. მცხეთაში საგრძნობლად გაიზარდა მოსახლეობის ხელმისაწვდომობა პროფესიულ განათლებაზე: 2014 წლიდან აქ გაიხსნა ისტორიული ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი. პროფესიული სასწავლებელი დაკომპლექტებულია სერტიფიცირებული პედაგოგებით და უზრუნველყოფილია გამართული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. კოლეჯში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლება მიმდინარეობს, მისი ფილიალები კი ყაზბეგსა და თიანეთშიც მოქმედებენ.

ბუნებრივია, რომ ადგილობრივი ხელისუფლების განსაკუთრებული ზრუნვის საგანია მოსახლეობის ჯანმრთელობა. ამიტომაც, მხარეში შარშან ქ. დუშეთსა და სოფელ ფასანაურში საგანგებო ვითარდებათა და გადაუდებელი დახმარების სამსახურის ორი ახალი შენობა გაიხსნა. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცენტრები სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის სპეციფიკითაა დაპროექტებული, მომსახურე პერსონალისთვის კი სამუშაოსა და დასვენებისთვის ყველა პირობაა გათვალისწინებული. ცენტრების მშენებლობის ხარჯი როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიფარა. გარდა ამისა, შენდება ამბულატორიები დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ბულაჩაურსა და ლაფანაანთკარში, ხოლო მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქსნისა და მუხრანის ამბულატორიებს რეაბილიტაცია უტარდება.

ცალკე საუბრის თემაა მხარეში კორონავირუსთან ბრძოლის საკითხი. ვაქცინაციის შეუფერხებლად წარმართვისთვის, სადღეისოდ მცხეთა-მთიანეთში ხუთი მასობრივი იმუნიზაციის ცენტრი და 22 სოფლის ამბულატორია მოქმედებს. ამასთან, ოთხივე მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან ადგილობრივი ხელისუფლებისა და ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები იმუნიზაციისა და კოვიდ-19-ის შესახებ გამუდმებით მართავენ საინფორმაციო შეხვედრებს. პარალელურად, მხარის მასშტაბით შეუფერხებლად მიმდინარეობს კოვიდ-19-ზე ტესტირებაც, რაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მეთვალყურეობით ხორციელდება.

ჯეროვანი ყურადღება დათმობილი აქვს მოსახლეობის მიერ ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვის საკითხებსაც, რისთვისაც მხარეში შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურაა მოწყობილი. უნდა აღინიშნოს დაბა სტეფანწმინდის სპორტკომპლექსი, ასევე მცხეთაში მრავალფუნქციური სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი საცურაო აუზით. აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ რეგიონში კვლავაც აქტიურად მიმდინარეობს სპორტული ობიექტების აღდგენა-მშენებლობა. მათ შორის გამორჩეულია ქ. დუშეთში მრავალფუნქციური სპორტკომპლექსის პროექტი.

**ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მდებარე დაბა გუდაური გამორჩეული სამთო-სათხილამურო კურორტია საქართველოში. ის თბილისიდან 120 კილომეტრში მდებარეობს და განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს, როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ დამსვენებლებს შორის. პირველი კეთილმოწყობილი სასტუმრო გუდაურში 1988 წელს აშენდა. დღეისათვის კი აქ არსებული თანამედროვე ტიპის სასტუმროები (მათ შორის, საოჯახო), საბაგირო და სასრიალო გზები, ვიზიტორების დიდ ყურადღებას იქცევს.**

ბუნებრივია, რომ მცხეთა-მთიანეთის ეკონომიკური განვითარებისა და, შესაბამისად, მოსახლეობის სოციალურ-მატერიალური დონის ამაღლების უზრუნველსაყოფად, მხარეს უნარიანი ხელმძღვანელობა უნდა და მას ჰყავს ასეთი თანამოაზრეთა შეკრული გუნდი. ცენტრალური ხელისუფლება, მხარის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია და ადგილობრივი ხელისუფლება ერთმანეთთან ყოველთვის მჭიდროდ და შეთანხმებულად თანამშრომლობენ.

ეკონომიკის განვითარების მაღალი ტემპის უზრუნველსაყოფად და მხარეში არსებული პირობების გასაუმჯობესებლად, ადგილობრივმა და ცენტრალურმა ხელისუფლებებმა აქ ბოლო წლებში არაერთი საგულისხმო პროექტი განახორციელეს, რომლებმაც ინფრასტრუქტურული, კულტურული, ჯანდაცვისა და სპორტის სფეროები მოიცვეს. მათი მნიშვნელობა რეგიონის, განვითარებისა და მოსახლეობის ყოფის კეთილდღეობის ამაღლებაში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ზოგიერთზე უფრო დაწვრილებით შეჩერება ნამდვილად ღირს.

**პრემიერ-მინისტრის თაოსნობით დაწყებულ სახელმწიფო პროგრამის „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში, რომლის მთავარი მიმართულებებია მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრების აღდგენა, რეკრეაციული სივრცეების მოწყობა, შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ობიექტების მშენებლობა, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდაში ტარდება ცენტრალური ქუჩის სრული აღდგენა, ხოლო თიანეთის მუნიციპალიტეტის დაბა თიანეთის ცენტრალურ პარკში სპორტული მოედანი და სარეკრეაციო ზონა მოეწყობა. გარდა ამისა, რეაბილიტაცია ჩაუტარდება ქ. დუშეთის ისტორიულ უბნებს, კერძოდ, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლება შეთანხმებულად მოქმედებენ, რაც სასიკეთო შედეგების უმოკლეს ვადებში დადგომის დიდ იმედს იძლევა.**

როგორც მთელი საქართველო, მცხეთა-მთიანეთის მხარეც შეძრა უკრაინელი ხალხის ტრაგედიამ, რასაც თან ახლავს უკრაინელთა გმირული ბრძოლა რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ სამშობლოსა და თავისუფლებისთვის.

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებას უკრაინელი ხალხის დასახმარებლად, ჰუმანიტარულ აქციასთან დაკავშირებით, მცხეთა-მთიანეთის მხარე პირველივე დღეებიდან შეუერთდა. მთელი საქართველოს მასშტაბით, მხარის სხელმწიფო რწმუნებულებისა და მთავრობის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ჩართულობით ჰუმანიტარული ტვირთი უკრაინაში 2 ეტაპად გაიგზავნა. რეგიონში ჰუმანიტარული დახმარების აქციის ორგანიზებას მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია უწევდა და მასში მხარის ოთხივე მუნიციპალიტეტი, ასევე ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა მონაწილეობდა. აქციის ფარგლებში, მერიების, ადგილობრივი მოსახლეობისა და ბიზნეს-სექტორის ჩართულობით პირველადი საჭიროების ნივთები და არამალფუჭებადი საკვები პროდუქტები შეგროვდა.**

**მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადგილობრივ მოსახლეობასა და ბიზნესის წარმომადგენლებს ჰუმანიტარული დახმარების აქციაში აქტიური მონაწილეობისათვის მადლობას უხდის.**

რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნული პროექტები განხორციელებული საქმის მხოლოდ მცირე ჩამონათვალია, თუმცა ასევე უნდა ითქვას, რომ რეგიონის წინაშე კვლავაც არაერთი გამოწვევაა, უწინარესად წყალმომარაგების, ბუნებრივი აირით უზრუნველყოფისა და სხვა მიმართულებით. აღნიშნული საკითხების დროულად მოგვარებაზე ადგილობრივი ხელისუფლება შეთანხმებულად მუშაობს ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთობლივად, მცხეთა-მთიანეთში არსებული პრობლემები ეტაპობრივად, პრიორიტეტების მიხედვით გადაიჭრება.

ერთი სიტყვით, ნამდვილად გულს ახარებს ის აშკარა წინასვლა ყველა სფეროში, რაც აქ, ამ ულამაზეს მხარეში ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა და, რაც მთავარია, ხვალ აქ კიდევ უფრო მეტი სილამაზე და სიმდიდრე დაისადგურებს.

**დიმიტრი კოტეტიშვილი,**
**საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი, ნიუ-ორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი**

# არ გვინდა ომი — არასოდეს, არ გვინდა ომი!!!

**ფარნა რაინა**



დღეს, ომით იწვის:
უკრაინის
მიწაც და ზეცაც,
სიცოცხლე ქრება,
ვინ გააქრო
სოცოცხლის ფასი?!..
ნუთუ, ბნელდება
პლანეტაზე,
აზრიც და... მზეცა...
და... თამაშია
ჯოჯოხეთის,
თარსის და... ფარსის?!..

ქვეყანა, ნუთუ,
გაგებას და...
ღირსებას იცვლის?!..
მოუწამლია —
შხამით... გესლით
შხამგესლა
იელს?!...
იწვის სიკეთის,
ერთობისა
და... ძმობის ფიცი?!..
მოსკოვის რუსი
თვითონ ებრძვის —
ძველ დედას, —
კიევს?!..
ომია!! ომი!!!
ალბათ, გესმით —
ამ, გულის ცემის,
მე, კვნესა მესმის,
ოხვრა მესმის,
შევჩენკოს მიწის...
ომია!!!.. ომი!!!..
აირია
სისხლი და ცრემლი...
და... ჩემი გულიც
ამ ცეცხლით და...
ამ ალით იწვის!!!..

რა ვთქვა?!..
არ ვიცი!!!..
დაბნეული დავეძებ —
სიტყვებს...
უფლის თვალებში
დღეს, ვინ არის
შემყრელი
ლამის?!..
გამიქრა, თითქოს,
აზრის წვდომის
სიმაღლეც,
სიბრტყეც...
ამ უგნურების სისასტიკით,
დავმუნჯდე, —
ლამის...

ვშფოთავ და... ვღელავ...
გონზე, ვერ-რით,
მოვეგე, — ჯერაც
სატანა, ეგზომ,
ჯიქურ... ძალით
ბობოქრობს, ღნავის...
ასე მგონია,
ასე ვფიქრობ...
და... ასე მჯერა:
თითქოს, ომია —
თეთრის, შავის,
დღისა და ღამის...

დარდის ქარ-ცეცხლით,
ვით იქნება
სამყარო - მხნედა?!..
ათასი ტანკი,
თითქოს, ერთად,
გადადის გულზე...
სიკვდილ — სიცოცხლის
პაექრობას
მსოფლიო ხედავს
ამ, — ზვავ-ვულკანს და...
ამ, — ჯოჯოხეთს
მსოფლიო უმზერს...

ვის უნდა —
დროის და სიმართლის
მგლის კბილით ღეჭვა?!...
ავი სულის და...
ავი მიზნის
ცოდვების ფიწლის?!..
ძალმომრეობით
სურდა, ვისაც —
პყრობა და ხვეჭა,
ხომ, აღიგავნენ —
მძლეთამძლენიც, —
პირისგან — მიწის?!..

სიკვდილი, გლოვა,
რად დავიდგათ
მიწაზე —
სახლად?!..
ეს, — უჟამესი ჟამი,
ნუთუ, —
სასრულის დროა?!..
XXI საუკუნეს
რომ ვმარცვლავთ,
ახლა,
დედამიწაზე —
ვის, ვის უნდა
ახალი ტროა?!..

უსათნოესი —
აზრის თვალი
თუ, წაღმა ბრუნდა,
არ იჭაჭანებს —
ბელზებელი, —
მიწად და... ცადა...
იქ, სიცოცხლე და...
სიყვარული
ზეიმობს, მუდამ,
სიბრძნეთა სიბრძნე —
ზენაარის,
ზეიმობს, სადაც...

მშვიდობა
მზე და სიცოცხლეა!!!..
მშვიდობას ვლოცავ,
დასაბამიდან,
იმ, ყველა ომს
ვიხსენებ — წყრომით!!!..
გაძეძგილია დედამიწა
ატომით, როცა,
სიბრიყვე არის
და... სიგიჟე —
შუღლი და.. ომი!!!..

გაოგნებული —
გრძნობით
განცდის, —
დაჭრილი ლომის,
ვღაღადებ, ვგოდებ...
და... ვქადაგებ —
კოსმოსშიც წვდომით,
დასაბამიდან, —
ხელში — გუთნით,
ხმლის პირზე — დგომით,
ვამბობ:
არ გვინდა, —
არასოდეს,
არ გვინდა ომი!!!..

დღეს, —
უგიჟესი სიგიჟეა:
მზის ქვეშეთს —
ომი!!!..
დამღუპველია, დღეს,
პლანეტის —
შუღლი და..
ომი!!!..
თავის თავს ებრძვის,
უწინარეს,
სიკვდილის —
მდომი...
მსოფლიოს ხალხებს —-
არასოდეს,
არ უნდათ —
ომი!!!..

P. S.
სიცოცხლეს, ვინაც, —
უსიკეთოს,
ჩააგდებს — არად,
აინთებს, ვინაც,
სიყვარულით:
გულსა და სახეს,
მე ვენაცვალე,
ვეთაყვანე,
დავლოცავ, — მარად,
დედამიწაზე
სანთლად, ვინაც -
დატოვებს სახელს!!!..

# <u>გიორგი კალანდია:</u> ქართველი მხატვარი კრისტიან დიორის სამოდელო სახლისთვის ესკიზებს ხატავდა



**ქართველებს ჰყავდა მხატვარი, რომელიც კრისტიან დიორის საქვეყნოდ განთქმული სამოდელო სახლისათვის შესანიშნავ ესკიზებს ხატავდა, ეს მხატვარი თამარ დე ლეტე — ვაჩნაძეა.. ნოე ჟორდანიას რძალი, სან პაულოს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, პარიზული შემოქმედებითი ელიტის გამორჩეული წევრი, თუმცა სამშობლოსთვის, საყვარელი საქართველოსთვის დღემდე უცნობი და უსამართლოდ დავიწყებული,** — ამის შესახებ ისტორიკოსი, საქართველოს ხელოვნების სასახლე — კულტურის ისტორიის მუზეუმის დირექტორი და ტელეწამყვანი გიორგი კალანდია სოციალურ ქსელში წერს.

თამარ დე ლეტეს უძვირფასესი მემკვიდრეობა უკვე გზაშია, საქართველოს უბრუნდება არა მარტო კრისტიან დიორის, არამედ პარიზისა და სან პაულოს თეატრებისთვის შექმნილი 300 ზე მეტი ესკიზი, 30 ტილო, 100 ზე მეტი XIX საუკუნის უნიკალური ფოტო, XVIII საუკუნის ტილოები, ხელნაწერები

**„რასაც ახლა მოვყვები ვიცი რომ დასაჯერებლად ძნელია თუმცა სიმართლეა, თანაც მომხიბვლელი სიმართლე... დიახ, ქართველებს ყავდა მხატვარი, რომელიც კრისტიან დიორის საქვეყნოდ განთქმული სამოდელო სახლისათვის შესანიშნავ ესკიზებს ხატავდა, ეს მხატვარი თამარ დე ლეტე — ვაჩნაძეა.. ნოე ჟორდანიას რძალი, სან პაულოს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, პარიზული შემოქმედებითი ელიტის გამორჩეული წევრი, თუმცა სამშობლოსთვის, საყვარელი საქართველოსთვის დღემდე უცნობი და უსამართლოდ დავიწყებული.. არადა სიცოცხლის ბოლომდე ქართველობდა.. უარი თქვა როგორც ფრანგულ ისე საბჭოთა მოქალაქეობაზე...**

**ეს კოლექცია საქართველოს თეა წულუკიანის პირადი ძალისხმევითა და თანადგომით უბრუნდება, მისი სახელით და სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით შევძელით მემკვიდრეებთან მოლაპარაკება და უნიკალური განძის ხელოვნების სასახლისთვის გადმოცემა.**

**აუწონავია ქართველი დიპლომატის გოჩა ჯავახიშვილის როლი ამ საქმეში, რომელმაც ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ იპოვა ეს ძვირფასი განძი ატლანტიკის ოკეანის პირას ქართველ ემიგრანტთა ოჯახში.**

**დიდი მადლობა ხელოვნების სასახლის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარეს, ჩემ მეგობარ არჩილ გელოვანს , რომელმაც ტრადიციულად შეუფასებელი დახმარება გაგვიწია კოლექციის სამშობლოში დასაბრუნებლად, დიდი მადლობა სამინისტროს თანამშრომელს შორენა ციცაგს ნაყოფიერი შრომისა და ბრწყინვალე კომუნიკაციისათვის. განძის სამშობლოში დაბრუნებას გამოფენა და კატალოგის გამოცემა მოჰყვება, რაზეც პარტნიორობის**




**სურვილი უკვე გამოთქვა საქართველოს ბანკმა... დიპლომატიური ხელშეუხებლობით აღჭურვილი ტვირთი (ამისათვის მადლობა მინისტრის მოადგილეს კახა სიხარულიძეს, საგარეო საქმეთა სამინისტროს და საქართველოს საელჩოს საფრანგეთში) უკვე სამშობლოსკენ დაიძრა, როგორც ზოლტან ჟორდანია ამბობს, ამ ამბით თამარ დე ლეტე ვაჩნაძე ხელმეორედ დაიბადა, რადგან მისი უკანასკნელი და ყველაზე სანუკვარი ოცნება ასრულდა... მე კი ბედნიერი ვარ, რადგან ეს ცხოვრების ისეთი მომენტია რომელიც ამ ქვეყნად არსებობის და ცხოვრების აზრს გიმტკიცებს, ახალ მოტივაციას გაძლევს“...** — წერს გიორგი კალანდია.

# გამოვიდა ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯის“ მე-12 ნომერი!

ალმანახის რედაქტორია **გიორგი ნატროშვილი**. გარეკანი გაფორმებულია **სერგო ედიშერაშვილის** ფოტოთი და **ნიკო ფიროსმანის** ნამუშევრებით. ყდის მე-2 გვერდი ნიკო ფიროსმანის 160-ე წლისთავისადმია მიძღვნილი და გვთავაზობს ლადო ასათიანის ლექსს — „ფიროსმანის მეგობრებთან“.

3 მარტს 40 დღე გავიდა, რაც ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქია დაობლდა და ყდის მე-3 გვერდი ეთმობა ჩვენს საყვარელ **მეუფე დიმიტრის (კაპანაძე)**. 2015 წელს ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯის“ პირველი ნომრის რუბრიკის „ალმანახის სტუმარი“ პირველი სტუმარი სწორედ ჩვენი მეუფე იყო.

ალმანახი იხსნება საიუბილეო მილოცვებით და იუბილართა ლექსებით: **ფარნა რაინა — 85, ნუნუ ძამუკაშვილი — 70;**

რუბრიკაში „პოეზია“ მკითხველი გაეცნობა: **მარიამ ხუცურაულის, ნომადი ბართაიას, ნინეა სამხარაძის, მარიკა პარნასელის, ანა არაბულის, შოთა ვეკუას, მარიამ ტოხიშვილის** და **თორნიკე კანდელაკის** ლექსებს.

რუბრიკა „პროზა“ წარმოგვიდგენს **ნინა ტერიკოს, გიორგი პაპუაშვილის, ნინო ქადაგიძისა** და **ანზორ სიფრაშვილის** მოთხრობებს.

რუბრიკა „თარგმანი“ გვთავაზობს **ვიტალიანო ბრანკატის** მოთხრობის **მაია ტურაბელიძისეულ** თარგმანს იტალიურიდან. რუბრიკაში „პუბლიცისტიკა“ წაიკითხავთ ნაწყვეტს **გიგი ხორნაულის** „ჩემი საწუთრო-სამზეოს“ მეორე გამოუქვეყნებელი ტომის ქვეთავიდან — მთიელთა ჭამადი — ხინკალი. ამავე რუბრიკაშია **ნატა ვარადას** წერილი: „ამბავი ბესო სოლომანაშვილისა, რომელიც „საბას“ სიაში მოხვდა, გაიმარჯვა და გადარჩა“.

რუბრიკა „ხელოვნება“ გვთავაზობს **ნანა ჭიჭინაძის** წერილს: „XXI საუკუნის პირველი ოცწლეულის ხელოვანებთან შეხვედრა“ და **მარიკა პოპიაშვილის** წერილს „ფერთა სამოთხე“, რომელიც გვაცნობს დედაქალაქში „ერთი მხატვრის“ — **ნათელა იანქოშვილის** მუზეუმში (რუსთაველის გამზირი 26) მოწყობილ ტრადიციულ საშემოდგომო გამოფენას.

რუბრიკა „ხსოვნა“ გვახსენებს 2022 წლის იანვარში გარდაცვლილი ცნობილი ჟურნალისტის, რედაქტორის და ლიტერატორის **ეთერ ფაცურიას** ლექსებს და შესანიშნავი მწერლის, ისტორიკოსის და მეცნიერის **თამაზ ნატროშვილის** წერილს: „ვინ უფრო უყვარდათ საქართველოში“.



# ვიქტორ ორბანი ავადმყოფი ლგბტ ლიბერასტების მტერია!

## ეგვიპტის პრეზიდენტი სულაც არ ხუმრობს!



**მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე, ზოგადად, და, კერძოდ, მის საარჩევნო სეგმენტში, ჩამოყალიბდა სტერეოტიპი, რომ წაგებული პოლიტიკური ძალის მხარდამჭერნი ლაპარაკს იწყებენ არჩევნების გაყალბებაზე. ასე მოხდა უნგრეთში ახლახან ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შემდეგაც. მიმდინარე წლის 3 აპრილს უნგრეთის საკანონმდებლო ორგანოს, ეროვნული ასამბლეის არჩევნები გაიმართა, რომელშიც, წინასწარი მომანცემების მიხედვით, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის, ვიქტორ ორბანის მმართველმა პარტიამ Fidesz გაიმარჯვა.**

მემარჯვენე პარტია Fidesz უნგრეთის საკანონმდებლო ორგანოში მანდატების ორ მესამედს გააკონტროლებს, ანუ საკონსტიტუციო უმრავლესობას მოიპოვებს.

ეს კი, მოგეხსენებათ, იმას ნიშნავს, რომ, ამიერიდან, პარტია Fidesz, სხვა პარტიებისგან დამოუკიდებლად მიიღებს კანონებს და, საჭიროების შემთხვევაში, კონსტიტუციასაც შაესწორებს. ეს პარტიის Fიდესზ მეოთხე გამარჯვებაა ზედიზედ. ოპოზიციურმა ალიანსმა „უნგრეთი ყველასთვის" ხმების 35 პროცენტი მიიღო. აღსანიშნავია, რომ უნგრეთის ეროვნულ ასამბლეაში უკიდურესად რადიკალური მემარჯვენე პარტია, სახელწოდებით „ჩვენი სახლი" შევა. ევროპის შუაგულში საპარლამენტო არჩევნების ასეთი შედეგი იმაზე მეტყველებს, რომ უნგრელი ხალხის დიდი უმრავლესობა არ ემხრობა ლიბერალიზმს და მხარს კონსერვატიულ პოლიტიკურ აზროვნებას უჭერს.

თუმცა მსოფლიოს mainstream მედიას, მაგალითად, აშკარად ლიბერალურ CNN-ს რომ ჰკითხოთ, ვიქტორ ორბანის მიერ წინასწარ გამოცხადებული გამარჯვება სერიოზულ ეჭვს ბადებს. ცხადია, თავად უნგრეთშიც კეთდება მსგავსი კომენტარი. ამ დროს, **ვიქტორ ორბანმა პირდაპირ უთხრა თავის ხალხსა და მსოფლიოს, ეს გამარჯვება იმდენად დიდია, რომ მთვარიდანაც კი ჩანს, და ბრიუსელიდან მითუმეტესო. პრემიერმა, ზელენსკი, სოროსთან და ბრიუსელის ბიუროკრატებთან ერთად, თავისი ოპონენტების სიაში შეიყვანა. ეს გამარჯვება ყოვლთვის გვემახსოვრებაო, განაცხადა მან, რადგან ურიცხვ ოპონენტთან მოგვიწია ბრძოლა: ადგილობრივ და გარეშე მემარცხენეებთან, ბრიუსელთან, სოროსის ფულთან, საერთაშორისო მედიასთან და უკრაინის პრეზიდენტთან.**

ამდენი მოწინააღმდეგე ერთად არასოდეს გვყოლიაო, დასძინა ორბანმა. რა დასკვნების გამოტანა შეიძლება უნგრეთის საპარლამენტო არჩევნების წინასწარი შედეგებიდან? როგორც დასავლელი ანალიტიკოსების უმრავლესობა აღნიშნავს, უკრაინის ომის მიმართ ვიქტორ ორბანის პოლიტიკამ მოუტანა მის პარტიას ასეთი გამარჯვება. ეს ორბანის ფრთხილი, მოზომილი და თავშეკავებული პოზიციაა. გამარჯვებული პარტიის ლოზუნგი ომის მიმართ ასე ჟღერდა: ომი თუ მშვიდობა? უნგრეთის ლიდერმა მშვიდობა არჩია, და საარჩევნო კამპანიის დროს, ყოველგვარი მორიდების გარეშე განაცხადა, ეს ომი ჩვენი ომი არ არისო. ცნობილია, რომ ვიქტორ ორბანი, არასოდეს არ იხრება ხოლმე, რომელიმე მხარეს. ის ყოველთვის მხარეთა შორის ლავირებს. მოქმედების სწორედ ასეთ სტილს მიმართა მან უკრაინის საკითხშიც.

მან დაგმო რუსეთის უკრაინაში შეჭრა, მაგრამ რუსეთს არცერთი სანქცია არ დაუწესა, რადგან ფიქრობს, რომ სანქციებით მხოლოდ უნგრეთის ეკონომიკას დააზიანებს. ამავე დროს, უნგრეთმა რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ ევროკავშირის არცერთ სანქციას ვეტო არ დაადო. უნგრეთმა ნახევარი მილიონი უკრაინელი ლტოლვილი შეიფარა, თუმცა, პრემიერი უკრაინისთვის იარაღის მიწოდებაზე უარს ამბობს. მე ამით ჩემს ქვეყანას ომისგან ვიცავო!

უნგრეთის ოპოზიცია ვერ ხვდება ან არ უნდა რომ მიხვდეს, თუ რეალურად რას მოითხოვს ამომრჩეველი მისგან. ანალიტიკოსები ამტკიცებენ, რომ უნგრეთის მოსახლეობა პრო-ევროპულია და ნატოს მიმართ ლოიალური, მაგრამ, ამავე დროს, უფრო კონსერვატულია, ვიდრე დასავლეთ-ევროპელი ხალხი. მეტწილად, უნგრელი ვერ ეგუება ლიბერალურ განწყობებს, როგორიცა, მაგალითად, ლგბტ თემის მიმართ დამოკიდებულება. იგივე ანალიტიკოსების აზრით, სანამ ვერ მიხვდება და შეეგეუება ამას ბრიუსელი, არასოდეს არ გათავდება წინააღმდეგობა მასსა და უნგრეთს შორის. ბრიუსელი კი, უნგრეთის ასეთ განწყობაზე მწვავედ რეაგირებს. ევროკავშირმა, ლიბერალურ-დემოკრატიული უფლებების შელახვის მოტივით, უნგრეთის წინააღმდეგ ახალი დისციპლინური პროცედურის შემუშავება დაიწყო. ეს, ალბათ, კიდევ უფრო მეტად გაამწვავებს დაპირისპირებას უნგრეთსა და ბრიუსელს შორის.

* * *

**აფრიკის ყველაზე გამორჩეული ქვეყანა ეგვიპტე უნიტარული ნახევრად-საპრეზიდენტო რესპუბლიკაა. ტრანსკონტინენტური მდებარეობა ქვეყანას განსაკუთრებულ გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებს: მისი ტერიტორია აფრიკაშიცაა და აზიაშიც. ქვეყნის ახლანდელ დემოკრატიულ მმართველობას 1952 წელს მიეცა დასაბამი, როცა სამხედრო გადატრიალებამ მონარქია დაამხო და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა შექმნა. ვინძლო, სწორედ ამიტომაა, რომ ეგვიპტის სახელწიფოს მეთაურთა უმრავლესობას სამხედრო წარსული აქვთ. არც დღევანდელი პრეზიდენტი, აბდელ ფატაჰ საიდ ჰუსეინ ხალილ ელ-სისია გამონაკლისი.**



ცნობილი ეგვიპტელების, გამალ აბდელ ნასერისა და ანუარ სადათის პრეზიდენტობის შემდეგ, ეგვიპტეში, ბევრი რამ აირია და მათი პოლიტიკური ზომა-წონის ლიდერი ქვეყანაში, კარგა ხანს, აღარ გამოჩენილა. ეგვიპტის დღევანდელი პრეზიდენტი ნელნელა უახლოვდება თავის ცნობილ წინამორბედდთა პოპულარობის დონეს. აბდელ ფატაჰ ელ-სისი მუსლიმთა შეძლებულ ოჯახში დაიბადა 1954 წელს, ეგვიპტის დედაქალაქ ქაიროში. მამა ანტიკვარიატით მოვაჭრე ჰყოლია, და პატარა აბდელი მამას მაღაზიის მართვაში ეხმარებოდა თურმე, მაგრამ ბოლოს ჯარისკაცის კარიერა ამჯობინა, რაც ეგვიპტის სამხედრო აკადემიაში სწავლით დაიწყო.

სასწავლებლის დამთავრებისთანავე, ეგვიპტის არმიაში შეუდგა სამსახურს: იყო მოტომსროლელი ბატალიონის მეთაური, ბრიგადისა და დივიზიის შტაბის უფროსი. 1987 წელს, ეგვიპტის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯში მაგისტრის ხარისხი მიიღო სამხედრო მეცნიერებაში. შემდეგ, მეთაურობდა სინას ნახევარკუნძულზე განლაგებულ მექანიზებულ დივიზიას. 1990-91 წლებში, მისი დივიზია, ამერიკელებთან ერთად, სპარსეთის ყურის ომში მონაწილეობდა. ომის დასრულების შემდეგ, იგი დიდი ბრიტანეთის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯში სწავლობდა. სამხედრო კარიერა ეგვიპტის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციისა და უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე განაგრძო. იყო ეგვიპტის სამხედრო ატაშე საუდის არაბეთში, ქვეყნის ჩრდილოეთ სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი, სამხედრო დაზვერვის სამმართველოს დირექტორის მოადგილე და იმავე სამმართველოს უფროსი.

2011 წელს, ეგვიპტეში, ისევე, როგორც ბევრ სხვა არაბულ ქვეყანაში, მოსახლეობის მასობრივი საპროტესტო აქციები ქვეყნის მაშინდელი მმართველობის წინააღმდეგ ამბოხში გადაიზარდა. შეგახსენებთ, რომ რევოლუციურ გამოსვლათა ეს სერია ისტორიაში **არაბული გაზაფხულის** სახელით შევიდა. იმ დროს, ეგვიპტეს ტიპიური დიქტატორი, ჰოსნი მუბარაქი მართავდა, რომლის 30-წლიანი მმართველობა ქვეყნის გენერალიტეტის მხრებზე იდგა.

ეგვიპტეში არ არსებობდა ადამიანის უფლებები და დემოკრატიული პრინციპები, ყვაოდა კორუფცია და სიღარიბე. მასობრივი საპროტესტო გამოსვლების გამო, ჰოსნი მუბარაქს შეშფოთებული გენერალიტეტი განუდგა და პრეზიდენტიც იძულებული გახდა, გადამდგარიყო. ხელისუფლება შეიარაღებული ძალების საგანგებო საბჭოს გადაეცა, რომელმაც ქვეყნის პარლამენტი დაშლილად გამოაცხადა, არსებული კონსტიტუციის მოქმედება შეაჩერა და დროებით პრემიერ-მინისტრად ისამ შარაფი დანიშნა. ამის შემდეგ, ახალი საკონსტიტუციო რეფერენდუმი ჩატარდა, რასაც ყოფილი პრეზიდენტის, ჰოსნი მუბარაქის დაპატიმრება მოჰყვა. სწორედ იმ სამხედრო საბჭოს ყველაზე ახალგაზრდა წევრი იყო ეგვიპტის ახლანდელი პრეზიდენტი აბდელ ფატაჰ ელ-სისიც. 2012 წელს, ეგვიპტეში საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა. ორივეში, რადიკალურმა პოლიტიკურმა პარტიამ, მუსლიმთა საძმომ გაიმარჯვა. შედეგად, მუჰამედ მურსი გახდა ქვეყნის პრეზიდენტი.

სულ მალე, აბდელ ფატაჰ ელ-სისის გენერლის წოდება მიენიჭა და ქვეყნის შეიარაღებული ძალების უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ, შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად, თავდაცვისა და სამხედრო მრეწველობის მინისტრად დაინიშნა. ეგვიპტის ახალი პრეზიდენტისა და მისი პარტიის მმართველობის სტილმა მკვეთრი პოლარიზაცია გამოიწვია. ფაქტობრივად, ხალხი ორად გაიყო. 2013 წელს, ოპოზიციამ მასობრივი გამოსვლები გამართა, რაც შეირაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ქვეყანა სამოქალაქო ომის საშიშროების წინაშე დადგა, თითქოს, 65 წლის წინანდელი ისტორია მეორდებოდა. აბდელ ფატაჰ ელ-სისიმ მოსახლეობასა და მთელ პოლიტიკურ სპექტრს რადიოთი მიმართა. ეგვიპტის გენერალიტეტი, მისი ხელმძღვანელობით, უთანხმოების მოსაგვარებლად, პოლიტიკურ პარტიებს 48 საათს აძლევდა, და თუ ეს მოთხოვნა არ შესრულდებოდა, ძალაუფლებას გენერალიტეტი აიღებდა ხელში. ასეც მოხდა.

ზუსტად ორი დღის შემდეგ, გენერალმა ელ-სისიმ უკვე ტელევიზიით მიმართა მოსახლეობას, გამოაცხადა რა, ქვეყნის კონსტიტუციის შეჩერება, მოქმედი პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება და ქვეყნის დროებით მეთაურად მაშინდელი უზენაესი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნა, რომელმაც აბდელ ფატაჰ ელ-სისი ვიცე-პრემიერად და თავდაცვის მინისტრად გამოაცხადა. ქვეყნის ფაქტობრივი მმართველობა სამხედრო საბჭოსა და გენერალ ელ-სისის ხელში აღმოჩნდა. გადაყენებული მართველი პარტია, მუსლიმთა საძმო კი, შეირაღებული დაუმორჩილებლობის გზას დაადგა, რის გამოც მთავრობამ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. სამ თვეს გაგრძელდა ის საგანგებო მდგომარეობა ეგვიპტეში. თითქმის ყველა მეამბოხე დააკავეს. 2014 წელს, აბდელ ფატაჰ ელ-სისიმ ფელდმარშალის წოდება მიიღო და ქვეყნის ხელმძღვანელობამ საპრეზიდენტო არჩევნებზე მისი კადიდატურა წამოაყენა. მან ხმათა 96 პროცენტი მიიღო. ითვლება, რომ ეს არჩევნებიც, ისევე, როგორც ყველა დანარჩენი, ეგვიპტეში გაყალბდა. აბდელ ფატაჰ ელ-სისიმ ტერორიზმსა და რადიკალურ ისლამს ომი გამოუცხადა. შედეგად, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ქვეყანაში ტერაქტების რაოდენობა შემცირდა. პრეზიდენტ ელ-სისის მეთაურობით, არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა.

Human-Rights-Watch-ის ცნობით, ხელისუფლებაში პრეზიდენტ ელ-სისის მოსვლის შემდეგ, დაახლოებით, 60 000 ადამიანი დააპატიმრეს, უმეტესობა, პოლიტიკური მოტივით. და მიუხედავად ამისა, 2019 წლის საპტრეზიდენტო არჩევნებში აბდელ ფატაჰ ელ-სისიმ კვლავ დამაჯერებლად გაიმარჯვა. არჩევნების პარალელურად, რეფერენდუმიც ჩატარდა, რომლის შედეგების მიხედვით, საპრეზიდენტო ვადა ოთხიდან ექვს წლამდე გაიზარდა. არჩევნებზე ერთი დიდი კურიოზიც მოხდა: პროტესტი, გაყალბების გამო, ამომრჩეველმა ორიგინალური ფორმით გამოხატა. გაწბილებული ამომრჩეველი ბიულეტენს კალმით გადახაზავდა და მერე, თავის საყვარელ ეგვიპტელ გმირს წერდა ბიულეტენში. ეგვიპტის საარჩევნო კომისიის თქმით, პროტესტის ასეთი ფორმის გამოყენებით, მილიონ-ხუთასი-ათასმა ამომრჩეველმა ხმა ცნობილ ეგვიპტელ ფეხბურთელს მოჰამედ სალაჰს მისცა, რომელიც ლივერპულში თამაშობს და არა მხოლოდ ეგვიპტელ გულშემატკივართა კერპია.

აბდელ ფატაჰ ელ-სისი ქორწინებაშია 1977 წლიდან. მას სამი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავს. უფროსი, მაჰმუდი, 2019 წლის ნოემბერში რუსეთში სამხედრო ატაშედ დაინიშნა. პრეზიდენტი თავის გამოსვლებში ხშირად იყენებს ხოლმე გამოთქმებს ყურანიდან, უყვარს წიგნის კითხვა, განსაკუთრებით, მუსლიმური ისტორიისა და სამართლის შესახებ. 2013 წლის ბოლოს, ამერიკულმა ჟურნალმა ეშქუ-მა აბდელ ფატაჰ ელ-სისი წლის ადამიანად დაასახელა....



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
**პოსTV**

# მითი თუ სინამდვილე?

**ხომ გსმენიათ, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო, მაგრამ ამჯერად სწორედ ის შემთხვევაა, სათქმელი, შეიძლება დაგვიანებითაც კი, მაგრამ მაინც რომ უნდა ითქვას.**

საუბარია უკრაინელთა უკვე 50-დღიან სამამულო ომსა და მის პარალელურად ქართულ მედიაში ატეხილ ვაიუშველებელზე, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ზომიერების დაუცველობა ჩვენი აქილევსის ქუსლია, შედეგად კი ისეთი ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მცნება უფასურდება, როგორიცაა გმირობა.

მადლობა ღმერთს, ტექნიკური პროგრესის არნახული მასშტაბები საშუალებას გვაძლევს, გადავახვიოთ ფირი და დავთვალოთ, ეს ჩვენი პატივცემული კოლეგები დღეში რამდენჯერ ურეცხავენ ტვინს დაზაფრულ თანამემამულეებს ტერმინით „გმირი უკრაინელი ხალხი“, იმას კი არავინ კითხულობს, ასეთი დათვური სამსახურის ტოლფასი პიარით, ნებსით თუ უნებლიედ, სხვა ერთა, უპირველესად — თვით ქართველთა სასახელო შვილებსა და მათ მართლაც საგმირო საქმეებს რატომ აკნინებენ?

დიახ, გმირებიც და, სამწუხაროდ, ანტიგმირებიც, ყველას ამშვენებდნენ და არცხვენდნენ, ამიტომ რომელიმე ეთნოსის ხბოს კუნტრუშით გაბუქება არა გვგონია თვით მათი საუკუნეობრივი ღვაწლის ობიექტურად შეფასებას ემსახურებოდეს.

მოგეხსენებათ, რატომღაც ისტორია ზუსტ მეცნიერებად არ ითვლება, მაგრამ მისი ფურცლები ისეთ ფაქტებს ინახავს, ძნელია მათ სანდოობაში დაეჭვდე. ჰოდა, ვეკითხებით საინფორმაციო გამოშვებათა თუ ასე მოდურად ქცეული თოქ-შოუების მენეჯერ-პროდიუსერებს — სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, თავგანწირვასა და სამშობლოს სამსხვერპლოზე მიტანილი არა ნაზრახი, არამედ სახელოვანი სიცოცხლით ვინმეს ჩამოუვარდებოდნენ ქართველი მეფეები, მხედართმთავრები, შრომასა და ბრძოლაში გამორჩეული გლეხკაცობა ან სამღვდელოება, ხშირად ანაფორის ნაცვლად აბჯრის ასხმა რომ უწევდა?

რასაკვირველია, არა, მაგრამ რატომღაც მათ წამლადაც კი არავინ ახსენებს მაშინ, როცა თანამედროვე უკრაინელ პოლიტიკოსთა და ქართული ნაცშპანის ხმაშეწყობილი კაკაფონიით გული უამრავჯერ გვეტკინა.

ეს ისე, სხვათა შორის...

ვის ვის და, თურაშაულის პატრონი... პანტისა არ იყოს, დნიპროსპირელებს ნამდვილად არ უნდა ვუყრიდეთ ასე „უპრაგონოდ“ გმირობის საკენკს მაშინ, როცა უახლოეს წარსულში — მეორე მსოფლიო ომში მშობელი ხალხის მოღალატეობის ერთ-ერთი სიმბოლო ბანდერა ნეონაცისტ თანამემამულეებს საფიცარ ხატად მიაჩნიათ.

თუ უფრო შორს წავალთ, იქნებ დაგულისყურდეს ვინმე, როდიდან იღებს სათავეს უკრაინელთა ქორფა სახელმწიფოებრიობა, ან რატომ ცდილობდა რუსეთთან ჩახუტებას მათი უმამაცესი შვილი ბოგდან ხმელნიცკი.

დანარჩენზე ომის შემდეგ...

**გია პლატონიშვილი**




## უკრაინა შეცდომებს შეცდომებზე უშვებს

გერმანიის ვიცე-კანცლერმა რობერტ ჰაბეკმა უკრაინა გერმანიის პრეზიდენტის, ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერის მიღებაზე უარის თქმის გამო გააკრიტიკა. **„სამწუხაროა, რომ ამის თქმა მიწევს, მაგრამ უკრაინულმა მხარემ დიპლომატიური შეცდომა დაუშვა. ფედერალური პრეზიდენტი გერმანიას წარმოადგენს, ამიტომ პრეზიდენტ ზელენსკის მხრიდან უარი არის უარი გერმანიას“,** — აცხადებს ჰაბეკი. კითხვაზე, გაემგზავრება თუ არა თავად ჰაბეკი ან კანცლერი ოლაფ შოლცი უკრაინაში, ვიცე-კანცლერმა განაცხადა, რომ **„ახლა ყველანი უნდა დავრწმუნდეთ იმაში, რომ პრობლემას ვაგვარებთ, და არა ვამძაფრებთ, და სწორედ ამისთვის გამოიგონეს ტელეფონი“.**



12 აპრილს, გერმანიის პრეზიდენტმა, ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა დაადასტურა, რომ უკრაინულმა მხარემ კიევში მისი ვიზიტი არასასურველად მიიჩნია.

## რუსეთის აგრესიას 197 ბავშვი ემსხვერპლა

**უკრაინაში რუსეთის აგრესიის შედეგად 197 ბავშვი დაიღუპა, 350-ზე მეტი დაიჭრა,** — ინფორმაციას გენერალური პროკურატურა ავრცელებს. ამასთან, რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ მასირებული დაბომბვის შედეგად უკრაინის ქალაქებსა და დასახლებებში დაზიანდა 1 014 სასწავლო დაწესებულება, მათ შორის 91 სრულად დაინგრა. უწყების ცნობით, ბუჩაში მიმდინარე საგამოძიებო პროცესის ფარგლებში ნახეს 4 და 10 წლის ბავშვების ცხედრები, რომლებსაც დაზიანებები აქვთ, ასევე, 17 წლის ბიჭის ცხედარი, რომელიც დაწვეს. კრამატორსკის სადგურის დაბომბვის შედეგად დაღუპული ბავშვების რაოდენობა 7-მდე გაიზარდა — ორი ბავშვი საავადმყოფოში გარდაიცვალა. მონაცემები საბოლოო არ არის, რადგან აქტიური საომარი მოქმედებების გამო, დაღუპულთა და დაშავებულთა ზუსტი რაოდენობის დადგენა გართულებულია.

## უნდა შეწყდეს რუსული ომის მანქანის დაფინანსება

**უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი ევროპის ქვეყნებს მოუწოდებს, უარი თქვან რუსულ ენერგორესურსებზე და ამით შეწყვიტონ რუსეთის „ომის მანქანის“ დაფინანსება,** — ამის შესახებ ზელენსკიმ ვიდეომიმართვისას განაცხადა.

**„პირველ რიგში, აუცილებელია ნავთობის ემბარგო და ევროპის მკაფიო მზაობა, უარი თქვან ყველა რუსულ ენერგომატარებელზე. ევროკავშირმა უნდა შეწყვიტოს რუსული სამხედრო ომის მანქანის დაფინანსება“,** — განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა. ზელენსკის თქმით, რუსი სამხედროები ქვეყნის აღმოსავლეთით და სამხრეთ მიმართულებებზე აქტიურდებიან. როგორც უკრაინის პრეზიდენტი აღნიშნავს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსების რიგებში ისინი უკრაინელების მობილიზაციას ცდილობენ. ვიდეომიმართვისას ზელენსკიმ მადლობა გადაუხადა აშშ-ის პრეზიდენტ ბაიდენს მხარდაჭერისთვის.



**„განვიხილეთ უკრაინის თავდაცვითი მხარდაჭერის ახალი პაკეტი, შევთანხმდით 800 მილიონი დოლარის იარაღზე, საბრძოლო მასალებსა და სხვა დახმარებაზე, საარტილერიო სისტემებზე, ჯავშანტრანსპორტზე, ვერტმფრენებზე. გულწრფელად მადლობელი ვარ ამ მხარდაჭერისთვის“,** — აღნიშნავს ზელენსკი.

## ეს ომი კი არა, ტერორიზმია

პოლონეთის პრეზიდენტმა, **ანდჟეი დუდამ** უკრაინაში ომს ტერორიზმი უწოდა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისინი, ვინც დანაშაული ჩაიდინეს, უნდა დაისაჯონ და ეს უნდა გავრცელდეს მათზეც, ვინც ბრძანება გასცა.



**„ეს ომი არ არის, ეს ტერორიზმია“,** — აღნიშნა დუდამ უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისთან და ბალტიის სამი ქვეყნის ლიდერებთან შეხვედრისას.

უკრაინაში ვიზიტის ფარგლებში, პოლონეთის პრეზიდენტი უკრაინის ქალაქ ბუჩასაც ეწვია.

## ევროკავშირმა უკრაინას სამხედრო დახმარებისთვის დამატებით 500 მილიონი ევრო გამოუყო

— ამის შესახებ ინფორმაციას ევროპული საბჭო ავრცელებს. მისივე ინფორმაციით, აღნიშნული თანხა მოხმარდება პერსონალური დამცავი აღჭურვილობების, სამხედრო აღჭურვილობების, საწვავისა და პირველადი დახმარების კომპლექტების შეძენას.

**„შემდეგი კვირები გადამწყვეტი იქნება. რუსეთი ემზადება უკრაინის აღმოსავლეთში შეტევის განხორციელებისთვის, მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ გავაგრძელოთ და გავაძლიეროთ უკრაინის სამხედრო მხარდაჭერა, რათა დავიცვათ მისი ტერიტორია და მოსახლეობა“,** — განაცხადა ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა და უსაფრთოხების საკითხებში, ჟოზეფ ბორელმა. დამატებით 500 მილიონი ევროს გამოყოფით უკრაინის შეიარაღებული ძალებისთვის ევროკავშირის მიერ გაღებული ფინანსური დახმარების საერთო ოდენობა 1.5 მილიარდ ევროს მიაღწევს.

## სავარაუდოდ დავადგენთ, რომ უკრაინაში გენოციდია ჩადენილი

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსანმა განაცხადა, რომ აშშ, სავარაუდოდ, საბოლოოდ დაადგენს, რომ უკრაინაში გენოციდია ჩადენილი.

CNN Nevroom-თან ინტერვიუში, პოლიტიკურ საკითხებში სახელმწიფო მდივნის მოადგილემ, ვიქტორია ნულანდმა აღნიშნა, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა **„გულით ისაუბრა, როდესაც გენოციდი უწოდა იმას, რასაც ჩვენ უკრაინაში ვხედავთ“.**

ნულანდის თქმით, აშშ-ში, მტკიცებულებების შეგროვების პროცესი დაიწყო, რათა მთავრობამ ოფიციალურად დაადგინოს გენოციდი.

**„პროგნოზირებას ვაპირებ, რომ ის, რასაც პრეზიდენტმა ბაიდენმა გენოციდი უწოდა, არის ის, რასაც ჩვენ საბოლოოდ დავადგენთ, როდესაც შევძლებთ ამ მტკიცებულებების შეგროვებას, რადგან ის, რაც ადგილზე ხდება, შემთხვევითი არ არის. ეს არის რუსეთის მიზანმიმართული გადაწყვეტილება, გაანადგუროს უკრაინა და მისი მშვიდობიანი მოსახლეობა“, —** აღნიშნა ვიქტორია ნულანდმა.

## ამ ომის გამო დედამიწის მეხუთედს შიმშილობა ემუქრება

**ანტონიო გუტერეშის თქმით, უკრაინაში რუსეთის შეჭრის გამო 1,7 მილიარდი ადამიანი — დედამიწის მოსახლეობის მეხუთედზე მეტი, შიმშილისა და სიღარიბის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. გაეროს გენერალური მდივნის განცხადება ორგანიზაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.**



გაეროში აღნიშნავენ, რომ უკრაინა და რუსეთი აწარმოებენ მსოფლიოში ხორბლისა და ქერის 30%-ს , სიმინდის მეხუთედს და ზეთის ნახევარზე მეტს. გუტერეშმა ასევე განაცხადა, რომ რუსეთი ბუნებრივი აირის მსოფლიოს უმსხვილესი ექსპორტიორია და მეორე ადგილს იკავებს ნავთობის ექსპორტის სფეროში, ომი კი საწვავსა და საკვებზე ფასებს ზრდის.

## გაეროს გარეშე რუსეთს სანქციებს არ დავუწესებთ!

**თურქეთი რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს მხოლოდ იმ შემთხვევაში დააწესებს, თუ ამას გაერო დაუჭერს მხარს. ამის შესახებ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, მევლუთ ჩავუშოღლუმ განაცხადა.**

მისივე თქმით, ანკარა საერთაშორისო სამართლის მიხედვით იმოქმედებს და დაბალანსებულ პოლიტიკას გაატარებს. **„თუ გაერო მხარს დაუჭერს რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას, თურქეთი იძულებული იქნება, მათ შეუერთდეს. რაც შეეხება ორმხრივ სანქციებს, ჩვენი პოზიციის გათვალისწინებით ეს არარეალურია. ხშირად გვეკითხებიან, დავხურავთ თუ არა ცას — ჩვენ შუამავლის პოზიცია ავირჩიეთ, რომელიც სიტუაციის სტაბილიზაციაზეა გათვლილი“,** — აცხადებს ჩავუშოღლუ.

## ოვალური ბურთი

# კელტთა ბუნაგში

**როგორც მოგეხსენებათ, გაისად მსოფლიოს თასზე უელსის ნაკრებს ჯგუფურ რაუნდში ნანტ-ში შევხვდებით 7 ოქტომბერს.**

ამ დღეებში გაირკვა, რომ საფრანგეთამ-




დე „ბორჯღალოსნები“ და „წითელი ურჩხულები“ ერთმანეთს გენერალურ რეპეტიციას ნოემბრის ტესტებისას გიორგობისთვის 19-ში კარდიფის „პრინციფალიტი სთედიუმზე“ მოუწყობენ და ეს იქნება მათი მეოთხე ჯახი უკანასკნელ 5 წელიწადში. შემოდგომაზევე კელტები ახალ ზელანდიას, არგენტინასა და ავსტრალიას უმასპინძლებენ, ჩვენ კი ივლისში პრინციპული მეტოქე იტალია გვეწვევა, რომელიც ექვს ერში აღზევებაში საქართველოს ნაკრების მთავარი კონკურენტია.

ლევან მაისაშვილი – „ბორჯღალოსანთა“ მთავარი მწვრთნელი: **„მსოფლიოს თასის წინ უელსთან თამაში ძალიან სასიხარულო და სასარგებლოა. ზოგადად, ელიტის გუნდებთან შეხვედრა ჩვენთვის ყოველთვის საინტერესოა, რადგან მოვსინჯავთ ძალებს და ვნახავთ, თუ რა შეგვიძლია. დიდი მნიშვნელობა ექნება, როგორი შემადგენლობით დაგვხვდება მეტოქე. უელსს არ გამოარჩევს ისეთი სიღრმე, როგორიც საფრანგეთს ან ინგლისს. სხვა ხარისხის რაგბის თამაშობს მისი ძირითადი ბირთვი და სხვას – მეორე ნომრები, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში კარგი მატჩი იქნება. უელსი ძიების პროცესშია, ვინაიდან მისი ბევრი ლიდერი წავიდა ნაკრებიდან და მსოფლიოს თასის წინ ახალ გუნდს აშენებენ“.**

## ოკეანის გაღმა

# „სანდროულა“ მილუოკიში




**რეგულარული სეზონი „მილუოკის“ ქართველი ლეგიონერის სანდრო მამუკელაშვილის რეკორდით დასრულდა, რომელმაც პარტნიორებს 28 ქულა შესძინა და თანამემამულეთა შორის აწ უკვე ყოფილი ყველაზე შედეგიანი მოთამაშის, თვით ზაზა ფაჩულიას ძველი მიღწევა 1 ქულით გააუმჯობესა.**

რაც შეეხება ნბა-ს მოქმედ ჩემპიონს, იგი უპრობლემოდ გავიდა აღმოსავლეთის კონფერენციის პლეი-ოფში „მაიამისთან“, „ბოსტონთან“ „ფილადელფიასთან“, „ტორონტოსთან“ და „ჩიკაგოსთან“ კამპანიაში, ხოლო დასავლეთის რჩეულთა ექვსეულში „ფინიქსი“, „მემფისი“, „გოლდენ სტეიტი“, „დალასი“, „იუტა“ და „დენვერი“ მოხვდნენ.

ისინი ტიტულისთვის ბრძოლაში პლეი-ინის წყვილებში დანარჩენი ოთხი საგზურის მფლობელთა გამოვლენის შემდეგ ჩაებმებიან. სამწუხაროა, რომ თამაშგარეში დარჩა **გოგა ბითაძის** „ინდიანა“.

## სკოლა და სპორტი

# იცხოვრე ჯანსაღად, იყავი ხალისიანი

**ასე ერქვა სასპორტო ღონისძიებას, რომელიც დავით სარაჯიშვილის სახელობის თბილისის მე-16 საჯარო სკოლაში (დირექტორი მზია სულამანიძე) ჩატარდა. მასში მონაწილეობდნენ დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეები, რომლებმაც წარმოადგინეს სასწავლო პროექტები ცხოვრების ჯანსაღი წესის პრინციპებზე და მათი დაცვის შესახებ. დარბაზშივე მოეწყო პირველკლასელთა ნახატების გამოფენა სასპორტო აქტივობებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის თემატიკით. მეექვსეკლასელებმა გამაჯანსაღებელი და განმავითარებელი ვარჯიშების კომპლექსის გამოყენებით მოძრავი თამაშები შემოგვთავაზეს.**




ღონისძიებას, რომელიც მომზადეს და გამართეს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებმა – **დავით გელაშვილმა, ლია კალატოზიშვილმა, ილია ხუჭუამ** და **მევლუდ ლაშაურმა**, სკოლის მესვეურებთან ერთად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექსპერტები – **გია ბეგიაშვილი** და **ქეთევან ნატროშვილი** ესწრებოდნენ.

– ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში სკოლებში ტარდება აქტივობები ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, რომლებშიც ჩართულია ყველა მოსწავლე, რაც უზრუნველყოფს მათს მასობრივ ჩაბმას კომპლექსური დავალებების მეშვეობით სპორტის სხვადასხვა სახეობაში, როგორებიცაა ფეხბურთი, ხელბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ბადმინტონი და სხვ. ჩვენს სკოლაში, მაგალითად, ოთხ მეექვსე კლასს შორის მოეწყო ფესტივალი კროსფიტში. ზოგადი განათლების რეფორმა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მორიგი ეტაპია, რომელიც 2018 წლიდან დაიწყო და 2024 წლამდე გაგრძელდება, – გვითხრა მევლუდ ლაშაურმა.

**ლექსო ცინცაძე.**

**სურათზე: ღონისძიების მონაწილეები ორგანიზატორებთან ერთად.**

## კორტზე

# ასაკი ულმობელია

**დაიწყო სათიხნარო სეზონი, რომელსაც სევდიანი პერსპექტივაც ახლავს თან – როლან გაროსის შემდეგ კარიერის დასრულებას აპირებს ერთ დროს მსოფლიოს მე-5 ჩოგანი, 36 წლის ფრანგი ჟო-ვილფრედ ცონგა, რომელიც პროფესიულ დონეზე თამაშს უკვე შორეულ 2004 წელს შეუდგა.**

ჩოგბურთელი, რომელსაც 20 (!) ტრავმის მიუხედავად ნადალი, ფედერერი, ჯოკოვიჩი და მარეი ჰყავს დამარცხებული, ხანგრძლივი წარმატებებით გამომუშავებული 20-მილიონდოლარიანი ჯიბით ემშვიდობება კორტს, რაც სპორტის ამ ელიტური და ძვირფასი სახეობის ისტორიაში მე-18 შედეგია.

მისი მონაგარია 18 მოგებული ტიტული, მათ შორის – 2 მასტერსი, რაც მეშვიდე მაჩვენებელია მოქმედ ვარსკვლავთა იერარქიაში. გარდა ამისა, არის ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტი, როლან გაროსისა და უიმბლდონის ნახევარფინალისტი და აშშ-ის ღია ჩემპიონატის მეოთხედფინალისტი.

წერილი გრუნტის საფარის ხსენებით დავიწყეთ და დავძენთ, რომ ცონგა მშობლიური მონტე კარლოს მასტერსს ხორვატ ვეტერან მარინ ჩილიჩთან დამარცხებით გამოეთიშა.

სხვათა შორის, აღნიშნულ ტურნირში ნიკოლოზ ბასილაშვილიც ჩაება, მაგრამ სასტარტო ბრძოლა ბულგარელ გრიგორ დიმიტროვთან მეორე პარტიაში შეწყვიტა – 3:6, 0:2.

## რეკორდი

# ატლანტის ტალღებში

**35 წლის ბრიტანელმა ვიქტორია ევანსმა ატლანტის ოკეანე 7 მეტრი სიგრძის ნიჩბებიანი ნავით პირველივე ცდაზე გადაკვეთა და ქალთა შორის მსოფლიო რეკორდი დაამყარა.**

მიღწევის ავტორს 4,7 ათასი კილომეტრის გადასაცურავად 40 დღე და 19 საათი დასჭირდა. მან მოგზაურობა კანარის კუნძულებზე დაიწყო და ბარბადოსზე დაასრულა. ძველი მსოფლიო რეკორდი 49 დღესა და 7 საათს მოიცავდა.

ევანსი პროფესიით იურისტია და აქამდე მსგავს განსაცდელთან გამკლავება არასდროს უცდია, ექსტრემალური დისტანციის დასაფარავად მზადებას კი 3 წლის წინათ შეუდგა.

## აუქციონი

# ვის დავუჯეროთ?

**დღემდე მსოფლიოს რეკორდის ავტორია „ნიუ იორკ იანკიზის“ გამოჩენილი ბეისბოლისტი ბეიბ რუთი, ვისი მაისურიც აუქციონზე 4,3 მილიონ გირვანქა სტერლინგად გაიყიდა. როგორც სი-ენ-ენი გვაუწყებს, ადვილი შესაძლებელია მალე იგი ფეხბურთის ღმერთმა დიეგო მარადონამ მოხსნას, რომელმაც 1986 წლის მექსიკურ მუნდიალზე ინგლისს ორი გოლი გაუტანა – ხელით და ზღაპრული დრიბლინგით. აუქციონზე სწორედ ის მაისურია გამოტანილი, რომელიც ლეგენდარულ არგენტინელს იმ დღეს ეცვა და მისი მფლობელი 35 წლის განმავლობაში ბრიტანელთა ნახევარმცველი სტივ ჰოჯი გახლდათ, რომელიც პერსონალურად მეურვეობდა დიეგოს და ვისაც მატჩის შემდეგ იგი გაუცვალა.**

საზოგადოებას ცივი წყალი გადაასხა მარადონას ასულმა დალმამ, რომელმაც განაცხადა – აუქციონზე გამოტანილი ფორმა მამას პირველ ტაიმში ეცვა და შესვენებაზე გამოიცვალა, ისტორიული ბურთები კი სხვა მაისურით გაიტანაო.

## ჩემპიონთა ლიგა

# ჩაძირული ბავარიელები

**ისე როგორ იქნებოდა, რომ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში მეხი არ გავარდნილიყო, მაგრამ პლეი-ოფის საპასუხო რაუნდში კინაღამ ერთბაშად ორჯერ დაიქუხა.**

### „ბაიერნი“ – „ვილიარეალი“ 1:1

**(პირველი მატჩი – 0:1)**

ძნელია გაიხსენო ასეთი უმწეო რეკორდმაისტერი, რომელიც ოთხი ტაიმის განმავლობაში სულ რამდენჯერმე დაემუქრა მეტოქის კარს.

კი ბატონო, ბუნდესლიგაში ჯერჯერობით, ყველაფერი რიგზეა და უკვე გამოჩნდა მორიგი ტიტულის კონტურები, მაგრამ **იულიან ნაგელსმანის** გუნდი რომ გამოფიტულია, ესეც ფაქტია.

ბავარიულ გრანდს ვერც გამოჯანმრთელებული გორეცკას დაბრუნებამ უშველა, ასე რომ, **უნაი ემერის** გაწვრთნილ „ყვითელ კრეისერთან“ ჩაძირვა მოვლენათა ლოგიკურ განვითარებად უნდა მივიჩნიოთ.

დავძენთ, რომ რიკელმესა და პირესის ეპოქიდან მოყოლებული, ესპანური კლუბი მეორედ ითამაშებს მთავარი ევროტურნირის ნახევარფინალში. შეგახსენებთ, რომ მაშინ იგი „არსენალთან“ დამარცხდა.

### „რეალი“ – „ჩელსი“ 2:3

**(დამატებით დროში. ძირითადი დრო და პირველი მატჩი – 1:3)**

მართალია, რომან აბრამოვიჩის გაკულაკების შემდეგ „არისტოკრატები“ უპატრონოდ დარჩნენ, მაგრამ ღირსება და სპორტული ჟინი ჯერაც არ დაუკარგავთ.




სხვათა შორის, ამ დღეებშივე ოჯახის დანგრევით თომას ტუხელსაც მოემატებოდა ჭაღარა, მაგრამ ეს ოდნავადაც არ დატყობიათ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ლომებივით მებრძოლ მის შეგირდებს, რომლებმაც გამარჯვებულ „სამეფო კლუბზე“ არანაკლები სიმპათია დაიმსახურეს. რაც შეეხება მასპინძელთა საბოლოო წარმატებას, მის ვარსკვლავურ შემადგენლობაშიც კი გადამწყვეტი ომახიანი სიტყვა ბენზემა-მოდრიჩ-ვინისიუს ჟუნიორის ზღაპრულმა ტრიომ თქვა. ისიც უნდა დავძინოთ, რომ ანჩელოტის გუნდს სულზე მოუსწრო ალონსოს არჩათვლილმა გოლმა 0:2-ზე.

### „ატლეტიკო“ – „სიტი“ 0:0 (0:1), „ლივერპული“ – „ბენფიკა“ 3:3 (3:1).

ასე რომ, ესპანურ-ინგლისურ ნახევარფინალში ითამაშებენ: „სიტი“ – „რეალი“ და „ლივერპული“ – „ვილიარეალი“.




# SUDDEUTSCHE ZEITUNG მკითხველს საქართველოში მოგზაურობას ურჩევს

**გერმანიის ერთ-ერთი ყველაზე მაღალრეიტინგულმა ჟურნალმა Suddeutsche Zeitung-მა საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ ვრცელი სტატია მოამზადა.** ინფორმაციას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.

გამოცემის რედაქტორი ჯოანა პანდი საქართველოში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მოწვევით იმყოფებოდა და ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში იმოგზაურა.

**„გამარჯობა მისალმებას ნიშნავს და პირდაპირ რომ ვთარგმნოთ, იყავი გამარჯვებულს ნიშნავს. საქართველოსთან დაკავშირებით დიდი ინტერესია, ეს არის კავკასიაში მდებარე თითქმის ბავარიის ზომის ქვეყანა, 3.7 მილიონი მოსახლეობით. წელს საქართველო ბერლინის ტურისტული გამოფენის ITB Berlin პარტნიორი ქვეყანა იყო კულტურული მიმართულებით, ხოლო 2023 წელს გამოფენაზე მასპინძელი ქვეყნის სტატუსით მიიღებს მონაწილეობას“.** — წერს ავტორი.

**Suddeutsche Zeitung**-ის სტატიაში ქართული სუფრა, კერძები, კულტურა, პოლიფონიური მუსიკაა აღწერილი, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართულ ღვინოს.

**„ღვინო ჩვენი კულტურის ნაწილია. მთელ მსოფლიოში ღვინის უძველესი წარმოებით საქართველო ამაყობს. კულტივაცია 8 ათასი წლის წინ დაიწყო. მსოფლიოში საქართველოს ღვინის კულტურა ცნობილია ქვევრით, ღვინის შესანახი მიწისქვეშა ჭურჭლით“,** — აღნიშნავს გამოცემის რედაქტორი.

სტატიაში აღწერილია იმერეთის, სამცხე-ჯავახეთის ტურისტული ადგილები, სამონასტრო კომპლექსები, სამთო და გამაჯანსაღებელი კურორტები.

**„მშრალი ჰაერის გამო ბაკურიანში ფაფუკი თოვლია. მცირე კავკასიონის მთებში მდებარე ბაკურიანი ერთ-ერთ მთავარ სამთო კურორტად განვითარდა და წელს საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა, კურორტზე მსოფლიო თასის ეტაპი სკი-კროსში გაიმართა. ბაკურიანის ჩრდილოეთით კავკასიონის დიდი ქედის მწვერვალები მოჩანს, ხოლო სამხრეთით მცირე კავკასიონის ვულკანური მთები“,** — წერს ჯოანა პანდა. სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მცხეთას, ძველ თბილისს, ქალაქის არქიტექტურას.

**„აივნები როგორც თბილისის, ასევე მაღალმთიანი რეგიონების არქიტექტურული სიმბოლოა. ეს ის ადგილია, სადაც ზაფხულს ატარებენ. ფერადი აივნები ხის ელემენტებს შეიცავს, როგორც კი დათბება, აივნებზე სტუმრების მიღებას დაიწყებენ. საქართველოში სტუმარი ღვთისაა“,** — წერს **Suddeutsche Zeitung**ის რედაქტორი.

სტატიის ბოლოში ავტორი მკითხველს ინფორმაციას აწვდის თუ როგორ შეიძლება საქართველოში გამგზავრება, დაბინავება და კერძების დაგემოვნება. ჟურნალი **Suddeutsche Zeitung** მიუნხენში იბეჭდება. გამოცემას 1.28 მილიონი მკითხველი ჰყავს, ჟურნალის ონლაინ ვერსიას კი თვეში 13 მილიონი მომხმარებელი ეცნობა.

# BBC: ქართული ფხალი მთელი მსოფლიოს ვეგანებისთვის შეიძლება სუპერ საკვები იყოს!




**„ემოციებს ფერებით გამოვხატავ, მიყვება შეფმზარეული დავით ნარიმანიშვილი, როდესაც ჩემი ჩანგალი იდეალური ფორმის ქარვისფერ, მწვანე და მეწამულისფერ აპეტაიზერს ეხება. ნიახურის ფოთლებით დაწყებული, ოხრახუშით დამთავრებული ინგრედიენტები ფხალს შესანიშნავ კერძად აქცევს. ფხალი პირველ რიგში სუფრის საყრდენს წარმოადგენს და ქართველების უსაზღვრო სტუმართმოყვარეობას გამოხატავს“,** — წერს **სარა ფრიმენი.**

ქართული მრავალფეროვანი ვეგანური აპეტაიზერი — ამ სათაურით BBC ონლაინ გვერდზე მკითხველს ქართულ სამზარეულოს აცნობს, — ამის შესახებ ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.

მათივე ცნობით, სტატიის ავტორმა სარა ფრიმენმა საქართველოში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის თაოსნობით იმოგზაურა და ქვეყნის ტურისტულ მიმართულებას, კულტურასა და სამზარეულოს გაეცნო.

**„მთელ მსოფლიოში ვეგანებისთვის ქართული ფხალი შეიძლება სუპერ საკვები იყოს“,** — წერს BBC-ის ჟურნალისტი. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, სტატიაში აღწერილია ქართული კერძები, თბილისისა და ქუთაისის ბაზრები, აგრეთვე კვების ობიექტები, სადაც შესაძლებელია ვეგეტარიანული კერძების გასინჯვა.

# ტრადიციებისა და რიტუალების გზამკვლევი

**აჭარა განსაკუთრებით საინტერესო და მიმზიდველია თავისი ავთენტურობით, იმ არამატერიალური კულტურული ღირებულებებით და წეს-ჩვეულებებით, რომელიც განსაკუთრებით მაღალმთიან აჭარაშია შემორჩენილი.**

აჭარის ეთნოგრაფიულმა ყოფამ შემოინახა ქართველი ხალხისათვის დამახასიათებელი არაერთი ტრადიცია და რიტუალი, რომლებიც ქართველი ხალხის სამეურნეო საქმიანობას, სულიერ კულტურას, საზოგადოებრივ და საოჯახო ყოფას, ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპს უკავშირდება. ტრადიციები ხასიათდებიან მდგრადობით, სიცოცხლისუნარიანობით და ინახავენ მნიშვნელოვან ინფორმაციას აჭარის ეთნიკური თავისებურებების, აჭაურთა ხასიათის, თვითმყოფადობის, კულტურული იდენტობის შესახებ. აღნიშნული გზამკვლევის მიზანი ამ ტრადიციების ასახვა და პოპულარიზაციაა, რადგან სწორედ მათში ვლინდება ეთნოსის უნივერსალობა. მართალია ხალხურმა ტრადიციებმა და რიტუალებმა განიცადეს ტრანსფორმაცია, მაგრამ ზოგიერთი მათგანი დღესაც მეტად აქტუალურია და მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქართულ საზოგადოებაში.

**აჭარული ტრადიციებისა და ხალხური რიტუალების გზამკვლევი წლის ბოლოსთვის მომზადდება და მასში ყურადღება მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან, საინტერესო ხალხურ რიტუალებსა და ტრადიციებს დაეთმობა.**

## სანთელი

# ირვერ ჯალაღონია



**83 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მეტყევე, ყველასათვის საყვარელი პიროვნება, ჩვენი ძმა და მეგობარი ირვერ ჯალაღონია.**

**დიდია ბატონ ირვერის დამსახურება ზუგდიდის და კოლხეთში ტყეების, ბუნებისა და გარემოს დაცვა-შენარჩუნების საქმეში. თითქმის სიცოცხლის ბოლომდე, 60 წელზე მეტი ღირსეულად ხელმძღვანელობდა ამ საშვილიშვილო საქმეს და ყველაფერ ამას აკეთებდა ზოგჯერ რისკისა და პირადი ჯანმრთელობის ხარჯზე. იყო დაუზარელი და სამართლიანი ტყის და ბუნების დაცვის საქმეში. გააჩნდა უდიდესი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი. ერთგული და თავდადებული მუშაობით უდიდეს პატივისცემას და სიყვარულს იმსახურებდა. აკი დაუფასდა კიდევაც შრომა. დამსახურებულად მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მეტყევეს საპატიო წოდება. დაჯილდოებული იყო აგრეთვე სხვადასხვა სამთავრობო ჯილდოთი.**

**იგი ყველას მომფერებელი და კეთილის მსურველი გახლდათ, „შენს გულ ვენაცავალეო“ — იტყოდა ხოლმე ხშირად. კეთილი საქმის კეთება და მხარში დგომა უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა. უყვარდა ზუგდიდს და ზუგდიდელებს. მეგობრებში და კოლეგებში სარგებლობდა ავტორიტეტით, მუდამ იყო ყურადღებიანი და მოსიყვარულე, მეგრობრობაც გამორჩეული იცოდა.**

**ბატონმა ივერიმ სანაქებო ოჯახი დატოვა — უსათნოესი ქალბატონ მერის ხელმძღვანელობით. შვილები მამუკა და ნანა, რძალი დარეჯანი ძალიან კარგები და საიმედონი არიან, ხარობდა უცხოეთში მოღვაწე შვილიშვილების წარმატებებით. იგი ასაკთან შედარებით ვაჟკაცურად გამოიყურებოდა; უყვარდა სიცოცხლე და ჯანსაღი ცხოვრებით ცხოვრობდა, მაგრამ, სამწუხაროდ, დამარცხდა სიკვდილთან და მარადისობაში გადასახლდა. ჩვენ მისი უახლოესი მეგობრები ვილოცებთ მისთვის და არასოდეს დავივიწყებთ. უფალმა ნათელი ადგილი დაუმკვიდროს ცათა სასუფეველში.**

**„საჯიმალო“: ინგა ჭეჟია-ჯიქია, გივი ხაზალია, ზაურ ნაჭყებია, გურამ ფიფია, ჯამბულ გადელია, რევაზ ბობოხია, სოსო სამუშია, გენადი ჯიქია, დემურ ჭანტურია, ვაჟა ფიფია.**

უახლოესი მეგობრები **რაულ ჩილაჩავა, გურამ გუნავა, ოთარ ჭითანავა, ლერი ჭითანავა, შაქრო ჭითანავა, კახა არდია, ჯემალ კვირტია, თენგიზ ალშიბაია, ზურაბ აბშილავა, ვახტანგ სიჭინავა** ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, უკეთილშობილესი პიროვნების

## თამაზ სურგულაძის

**გარდაცვალებას, უსამძიმრებენ და გვერდში უდგანან თემურ და გუთანა სურგულაძეებს დედმამიშვილისა და ოჯახის წევრებს ამ დიდი ტრაგედიის დროს.**

## ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.

მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

# ლაზარეს შაბათი

### ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი

16 აპრილს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ლაზარეს აღდგინებას... ამ დღეს ქართველი ერი აქებს და ადიდებს თავის ენას ღვთის სადიდებლად. ქართველ ერს სწამს, რომ ღმერთი აკურთხებს მაკურთხეველთა მისთა; სჯერა, რომ ქართული ენა ღვთაებრივი ცეცხლისგან ანთებული ჩირაღდანივით ნათლის მომფენიც იქნება და ბოროტების დამწველიც... ...უფალი მუდამ იცავს შენს სულს, მანამ შენ იცავ შენს ენას!



# ბზობა – ბაიაობა

### დიდმარხვის კვირა

17 აპრილს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლსია ზეიმობს მაცხოვრის დიდებით შესვლას იერუსალიმში, რასაც ქრისტიანები ვუწოდებთ ბაიაობას. ანუ ბზობას ამ დღესასწაულზე მორწმუნენი თევზსა და ღვინოს მიირთმევენ. მაცხოვრის შესვლა იერუსალიმში ჰგავდა ძლევამოსილი მეფის სატახტო ქალაქში შესვლას! იერუსალიმისკენ მიმავალს, დიდებით მავალს, ხალხი სამოსელს უფენდა გზაზე, ზოგს კი პალმის (ბზის) რტოები ეკავა ხელში და ასე ეგებებოდა მაცხოვარს – ყოველი მხრიდან ისმოდა ღაღადისი: „ოსანა ძესა დავითისსა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაითა: ოსანა რომელი ხარ მაღალთა შინა!“

საგულისხმოა, რომ იერუსალიმში მავალ იესო ქრისტეს თითოეული ჩვენგანი უნდა შეეგებოს სულიერად, სამოსლის ნაცვლად გული გაუფინოს კიცვზე მჯდომ მეუფეს, მხურვალე ლოცვა და თაყვანისცემა კი ბზის ტოტებივით მიართვას და ისე მიიღოს საკუთარ სულში უფალი, როგორც იერუსალიმში – აი, რას ითხოვს ღმერთი! იერუსალიმში დიდებით შესვლით უფალმა მორწმუნეებს სიყვარულის გამომჟღავნების საშუალება მისცა, ხოლო მტრებს – მისი შეცნობისა და მოქცევისა.

**გიული ლიპარტია**

# გადაუდებელი დახმარების საჭიროებისას გარკვეული დასახელების მედიკამენტები ურეცეპტოდ გაიცემა

**ანტიარითმიული, სპაზმოლიზური, წნევის დამწევი, ანტიალერგიული, ანაფილაქსიური შოკის საწინააღმდეგო, შარდმდენი, ანტიდიაბეტური, ჰიპოგლიკემიის საწინააღმდეგო საშუალებები, ასევე ბრონქული ასთმისა და სტენოკარდიული შეტევის კუპირების საშუალებები აუცილებლობის შემთხვევაში ურეცეპტოდ გაიცემა,** – ამის შესახებ ინფორმაციას ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

**„კაპტოპრილი, დექსამეტაზონი, ეპინეფრინი, ფუროსემიდი, გლუკოზა, ინსულინი, სალბუტამოლი, ნიფედიპინი, ამიოკორდინი, ატროპინი, დიფენჰიდრამინი, გლიბენქლამიდი, მეტფორმინი, მეტოპროლოლი, პრედნიზოლონი, ნიტროგლიცერინი, ნალოქსონი და სხვა დასახელების მედიკამენტის შეძენა, აუცილებლობის შემთხვევაში, რეცეპტის გარეშეც არის შესაძლებელი.** აღნიშნული გამონაკლისი მეორე ჯგუფის მედიკამენტებს ეხება, რომლის რეცეპტიც პირველი მარტიდან, მატერიალური სახით (ქაღალდზე) აღარ გაიცემა და მისი გამოწერა მხოლოდ ელექტრონული ფორმით ხდება. **რეცეპტის გარეშე გაიცემა III ჯგუფის მედიკამენტები, რომლებიც ნაკლებად მძიმე გვერდითი მოქმედებით ხასიათდებიან. მსგავსი ტიპის პრეპარატებია: ტკივილგამაყუჩებელი, სიცხის დამწევი, გაციების დროს გამოსაყენებელი, კუჭნაწლავის სამკურნალო საშუალებები და სხვა.**

# გველოდება გეომაგნიტური ქარიშხალი

**დედამიწისკენ მზიდან ამოტყორცნილი პლაზმა მოემართება, რაც გეომაგნიტურ ქარიშხალს გამოიწვევს..**

11 აპრილს მზის ლაქიდან AR2987 ამოიტყორცნა პლაზმა და მაგნიტური ენერგია, რომელმაც დედამიწას უკვე 14 აპრილს მოაღწია. შედეგად, ჩვენს პლანეტაზე დღეიდან მოსალოდნელია კაშკაშა ჩრდილოეთის ნათება და G1-ის კლასის გეომაგნიტური ქარიშხლები. ასეთი კლასის ქარიშხლებს შეუძლიათ თანამგზავრებისა და ენერგოსისტემების მუშაობის მცირე შეფერხება.

# საქართველოს იორდანიის მაღალრეიტინგული ტელეკომპანია ესტუმრა



**ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია იორდანის ერთ-ერთი ყველაზე მაღალრეიტინგული ტელეკომპანიის „Roya TV“ პოპულარული გადაცემის „Helwa Ya Dona show“ გადამღებ ჯგუფს მასპინძლობს.**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, მედიის წარმომადგენლები საქართველოს ტურისტული მიმართულების შესახებ სატელევიზიო გადაცემებს მოამზადებენ, რომელსაც იორდანიაში მილიონობით მაყურებელი იხილავს. პრეს-ტურის ფარგლებში ტელეკომპანიის გადამღები ჯგუფის 4 წევრი თბილისს, მცხეთას, ბორჯომს, ახალციხეს დაათვალიერებენ და გადაიღებენ. მომზადებული გადაცემები საქართველოს კურორტებს, კულტურასა და სამზარეულოს დაეთმობა.

**„პირველად ვარ საქართველოში და ძალიან მომეწონა. აეროპორტიდანვე დავინახე, რომ თბილისი ძალიან მოწესრიგებულია. ჩვენი გადაცემა სამოგზაურო სეგმენტს ეთმობა. ძალიან ბევრს ვმოგზაურობთ და ვფიქრობ, ჩვენი გადაცემა საქართველოს შესახებ გამორჩეული იქნება მდიდარი შინაარსით. დარწმუნებული ვარ, როგორც იორდანიიდან, ასევე მთელი მსოფლიოდან ჩვენი მაყურებელი საქართველოს კარგად გაიცნობს“,** – აცხადებს ფოად ქარშეფი Roya TV“-ის წამყვანი.

# რუსთავიდან დედაქალაქისკენ მუნიციპალური ავტობუსები ივლიან

**მერის ინიციატივით, რუსთავ-თბილისის მარშრუტზე მგზავრობის გაძვირებიდან მეორე დღესვე, დედაქალაქის მიმართულებით მუნიციპალური ავტობუსები დაინიშნა. მერიის ეს გადაწყვეტილება კერძო სატრანსპორტო კომპანია „ინტერტრანსის“ მხრიდან მგზავრობის ღირებულების თვითნებურად გაზრდას მოჰყვა.**

რუსთავის მერის ნინო ლაცაბიძის განცხადებით, მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული რუსთაველების ინტერესები და



მგზავრთა გადაყვანის სერვისის გაუმჯობესება ძალიან სწრაფად მოხდება.

**„გუნდმა ფორსმაჟორულ სიტუაციაში მივიღეთ გადაწყვეტილება და დღეიდან რუსთავი-თბილისის მიმართულებით ივლის M3 კატეგორიის ავტობუსები. ჩვენ მოსახლეობისთვის და განსაკუთრებით სტუდენტებისთვის შევქმენით ალტერნატიული გადაადგილების საშუალება. სტუდენტებისთვის მგზავრობის ფასი 50 თეთრია, სტანდარტული ტარიფი კი 1,50 თეთრი. პარალელურად დავიწყეთ და ვაგრძელებთ სამართლებრივი პროცედურები „ინტერტრანსთან“ მიმართებაში. გვქონდა მათთან შეხვედრა და დავაჯარიმეთ კომპანია. დარღვეულია სახელშეკრულებო პირობების რამდენიმე მუხლი, ჩვენ მათთან რა თქმა უნდა გავაგრძელებთ მუშაობას, რომ კომპრომისამდე მივიდეთ. მანამდე რუსთავი-თბილისის მიმართულებით იმოძრავებს კომფორტული, თანამედროვე და ევროპული სტანდარტების ავტობუსები“,** – განაცხადა ნინო ლაცაბიძემ. რუსთავის მერის თქმით, ავტობუსები რუსთავის გასასვლელიდან ისნის მეტრომდე 20 წუთიანი ინტერვალით მოემსახურება მგზავრებს.



# რუსეთი... ვალერი მელაძის წინააღმდეგ

**რუსეთში მოღვაწე ქართველმა მომღერალმა, ვალერი მელაძემ უკრაინაში ომი და რუსეთის ხელისუფლების ქმედება ღიად გააკრიტიკა.** ამ განცხადებამ საზოგადოება აღაშფოთა და მომღერალი კრიტიკის ქარცეცხლში გაეხვა. ამის შესახებ რუსული მედია წერს.

**„ბევრი მიიჩნევდა, რომ შერცხვენილი მელაძე მალე დატოვებდა ქვეყანას, როგორც ზოგიერთი მისი რუსი კოლეგა მოიქცა, მაგრამ ვალერი მელაძე დარჩა. უფრო მეტიც, ცნობილმა მომღერალმა სცენაზე გამოსვლა და თანხის გამომუშავება გააგრძელა. მაგალითად, მუსიკოსი იური ლოზა მიიჩნევს, რომ მელაძე ბევრ ფულს დაკარგავს, თუ რუსული აუდიტორიის გარეშე დარჩება, უცხოეთში კი მელაძე და მისი სიმღერები არავის სჭირდება“,** – წერს „ექსპრეს გაზეტა“. გარდა ამისა, ცნობილი რუსი ბლოგერი და ფსიქოლოგი კრისტინა ბოსი ვალერი მელაძეს „ფარისევლად და სამშობლოს მოღალატედ“ მიიჩნევს და თვლის, რომ „რუსეთ-უკრაინის ომის დაგმობით მან უმადურობა გამოიჩინა იმ ქვეყნისადმი, რომელმაც მას ყველაფერი მისცა“.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.


**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 18 აპრილს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.0830; ევრო - 3.3380
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.01091;
100 რუბლი - 3.7596; თურქული ლირა - 0.2113;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8144;
1000 სომხური დრამი - 6.5473.

**ამინდი 15 აპრილისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +1, | დღე +20 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -2, | დღე +15 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +3, | დღე +17 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -2, | დღე +14 |
| თბილისი: | ღამე | +4, | დღე +20 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge